პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და თბ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

ფასი 10 კაპ.

პარასკევი,
1
ნოემბერი
1935 წ.
№ 254 4410

მუშებო და კოლმეურნეებო! შედით თავდაცვა-ავიაქიმის რიგებში! დაეუფლეთ სამხედრო ტექნიკას! იყავით მზად საბჭოთა ქვეყნის შეურყეველი თავდაცვისათვის!

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ლოზუნგებიდან სსრ კ-ში დიდი პროლეტარული რევოლუციის მე-18 წლისთავისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიის მებრძოლი რეზერვი

წითელი არმია ნამდვილი სახალხო არმიაა. მისი ძლიერება მდგომარეობს არა მარტო მის მოწინავე ტექნიკაში, მეომართა გამბედაობასა, დისციპლინასა და გაწვრთნაში, არამედ ხალხთან მის განუყრელ კავშირშიც. ისტორიაში არ ყოფილა მაგალითი, რომ ხალხს ისე ჰყვარებოდეს შეიარაღებული ძალა, როგორც ჩვენს ხალხს წითელი არმია უყვარს. ეს გასაგებიც არის: წითელი არმია ემსახურება მშრომელთა ინტერესებს.

წითელი არმიის თითოეული მიღწევა უსაზღვრო სიხარულსა და ენტუზიაზმს იწვევს მშრომელთა მასებში. ჩვენი დიდი სამშობლოს ახალგაზრდა, რომელიც ეუფლება ტექნიკას, მეცნიერებას, კულტურას და შეგნებული აქვს თავისი როლი ბრძოლაში ახალსა და ძველ ქვეყანას შორის, აქტიურად იბრძვის სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის.

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაცია მასობრივი თავდაცვითი მუშაობის ღერძია.

თავდაცვა-ავიაქიმმა თავისი არსებობის მანძილზე ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია თავდაცვითი მუშაობის განმტკიცებისათვის მასების დარაზმვაში. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა აღზარდეს ბევრი დამკვრელი, რომლებიც დაეუფლნენ სამხედრო საქმის ტექნიკას და მზად არიან, როცა ეს საჭირო იქნება, წითელ არმიასთან ერთად საკუთარი ვაჟკაცური მკერდით დაიცვან საბჭოთა საზღვრები.

ყოველი ქარხანა და კოლმეურნეობა „თავდაცვის ციხე-სიმაგრეა“—ამ ლოზუნგით იბრძვიან თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები.

ლენინური კომკავშირი, თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების „სულსა და გულს“ წარმოადგენს. კომკავშირის მუშაობა განსაკუთრებით მკაფიოდ სჩანს მასობრივი საავიაციო სპორტის განვითარებაში.

ახალგაზრდობამ თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობაში მისთვის ჩვეული ენერგია, სიხარული, სიმხნევე და ენტუზიაზმი შეიტანა. ახალგაზრდობა უდიდეს მისწრაფებას იჩენს დაეუფლოს სამხედრო საქმის ყველა სახესა და ფორმას.

მაგრამ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები ყველგან ვერ დგანან თავისი მოწოდების სიმაღლეზე და სათავეში ვერ უდგებიან მშრომელთა მისწრაფებას თავდაცვითი მუშაობისადმი.

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა ძლიერ ჩამორჩა იმ მოთხოვნებს, რომლებსაც დღეს მას პარტია და მშრომელთა გაზრდილი მისწრაფება უყენებს.

წითელი არმიის უახლოესი თანაშემწის—თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების წინაშე უდიდესი ამოცანები დგას: უმთავრესი ამოცანა არის წითელი არმიისათვის წვევამდელი ახალგაზრდობისა და ჯარისგარეშე მომზადება.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა გასაწვევი ახალგაზრდობის მომზადების, სამხედრო ტექნიკური გამოცდების, მამაცი პარაშუტისტების, პლანერისტების და გმირი მფრინავების მომზადების საქმეში სერიოზული მუშაობა შეასრულეს. მაგრამ ეს ცოტაა. მათ მეტის გაკეთება შეეძლოთ. საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საბჭო ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. სუსტია მისი ხელმძღვანელი და დამრაზმავი როლი, არ ხდება საუკეთესოთა გამოცდილების გაზიარება, სუსტად მიმდინარეობს მუშაობის გარდაქმნა როგორც ცენტრში, ისე განსაკუთრებით ძირეულ პირველადს ორგანიზაციებში.

თავდაცვა-ავიაქიმის რაიონულ და პირველადს ორგანიზაციებში ხშირად ხელმძღვანელ მუშაკებს არჩევის ნაცვლად პირდაპირ ნიშნავენ. ამის მაგალითები საკმაოდ გამომჟღავნდა ტფილისის, ჩხარის და თელავის რაიონებში თვით ტფილისის მრავალ წარმოებაში თავდაცვა-ავიაქიმის საქარხნო ორგანიზაციების ხელმძღვანელები უმეტესად დანიშნული არიან. მათ არ იცნობენ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის წევრები და არც ისინი გრძნობენ პასუხისმგებლობას ამ ორგანიზაციის წევრთა წინაშე.

ყოველივე ზემონათქვამს უნდა დავუმატოთ უდისციპლინობა, დენადობა, ხელმძღვანელ მუშაკთა შეუსწავლელობა, ძალზე სუსტი ორგანიზაციული მუშაობა, ასეთია თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის საერთო სურათი.

კომკავშირმა ბევრგან დაივიწყა თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციები. პროფკავშირებიც საკმაოდ მოწყდა მათ და თავიანთ მოვალეობად არ სთვლიან დაეხმარონ და გააძლიერონ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობა. მდგომარეობის ასე დატოვება შეუძლებელია.

ახლა მთავარია ავიაქიმის ძირეული რგოლების განმტკიცება.

ბოლო უნდა მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როცა თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები დღემდე ბევრგან მხოლოდ ქაღალდზე არსებობდნენ თავდაცვა-ავიაქიმის მომავალი ხელახლა აღრიცხვა და ერთიანი საწევრო ბილეთების შემოღება სერიოზული ღონისძიებებია ამ ორგანიზაციების განსამტკიცებლად.

მშრომელთა ფართო მასებს შორის თავდაცვითი მუშაობის სანიმუშოდ დაყენებასთან ერთად თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები ვალდებული არიან გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა. ვინაიდან ჩვენ უნდა მოვამზადოთ არა მარტო საპარაშუტო სპორტის საუცხოო ოსტატები, უშიშარი მფრინავები, საუკეთესო მსროლელები, მამაცი პლანერისტები, არამედ იდეურად შეიარაღებული ადამიანები. თავდაცვა-ავიაქიმის წევრებში უნდა აღვზარდოთ სამშობლოსადმი ერთგულება, სიყვარული და თავდადება, გავაძლიეროთ მათი საბრძოლო მზადყოფნა სამშობლოს დასაცავად.

თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის განმტკიცება უწინარეს ყოვლისა პარტიული, კომკავშირული და პროფორგანიზაციების ღირსების საქმეა.

ტფილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა ხელი მოჰკიდეს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნას, ამ საკითხზე ტარდება ერთიანი პარტიული დღეები. ტფილისის პარტიული ორგანიზაციის მაგალითს უნდა მიჰბაძონ საქართველოს მთელმა პარტიულმა ორგანიზაციამ.

ბორჩალოს რაიონმა შეასრულა ბამბის ჩაბარების გეგმა

ბორჩალო, 29 ოქტომბერი. ბორჩალოს რაიონმა ვადაზე ადრე შეასრულა ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა: კოლმეურნეობებმა და მშრომელმა ერთპიროვნულმა მეურნეებმა ჩააბარეს სახელმწიფოს 3257,5 ტონა ბამბა—გეგმის 100 პროც.

შულავერის ბამბის საწმენდი ქარხნისათვის ჩაბარებული ნედლი ბამბა განსაკუთრებული მაღალი ღირსებისაა და მიღებულია 1 ხარისხად. ტენიანობა არ აღემატება 9%-ს, გეგმით კი 11 პროცენტია ნავარაუდევი.

მინდვრად ბამბა ისევ ბევრია, კრეფა გრძელდება. კოლმეურნეობანი პირობას სდებენ, რომ ოქტომბრის მე-18 წლისთავისთვის ბევრად გადააჭარბებენ თავიანთ საკონტრაქტაციო ვალდებულებებს (ადს).

გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით

„კომუნისტის“ რედაქციას

ლაგოდეხი, 31 ოქტომბერი. ლაგოდეხის რაიონმა თამბაქოს დამზადების ოქტომბრის გეგმა 121 პროცენტით შეასრულა. 350 ტონის ნაცვლად დამზადებულია 425 ტონა თამბაქო.

საქ. კ.პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი **ჭ. იმედაძე.**
„საქთამბაქონედლეულის“ ლაგოდეხის განყოფილება —**წერეთელი.**

გემმა „ბუდიონიმ“ ავარია განიცადა

ოსლო, 30 ოქტომბერი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ საბჭოთა გემი „ბუდიონი“ მიაწყდა ნაპირს ბირგენიდან 100 კილომეტრზე ჩრდილოეთით. გემმა შესძლო დამოუკიდებლად წამოსვლა ნაპირიდან, მაგრამ შემდეგ კვლავ იძულებული შეიქნა ნაპირს მისდგომოდა, ვინაიდან მის წინატრიუმში წყალი შევიდა და მიაღწია სამანქანო განყოფილებას. სააგენტოს სიტყვით, ნორვეგიის ორი მაშველი გემი ავარიაგანცდილ გემის სიახლოვეს არის. (ადს).

გემ „ბუდიონის“ კაპიტნის რადიოგრამა

არხანგელსკი, 29 ოქტომბერი. აქ მიღებულია რადიოგრამა გემ „ბუდიონის“ კაპიტნისგან. ამ გემმა ავარია განიცადა სალენზუნდესთან (ნორვეგიის შხერები). საჭის უვარგისობის გამო „ბუდიონი“ ნაპირს მიაწყდა და გაიხვრიტა. გემს აქვს 33 გრადუსიანი დაგვერდება. ცხვირის ტრიუმი და სამეცეცხლური წყლით აივსო. კომანდა ნაპირზეა გადმოსხმული. მიღებულია ზომები გემის გადასარჩენად (ადს).

პარტსახელმძღვანელოები

მოსკოვი 29 ოქტომბერი. მიმდინარე წლის დამლევამდე პარტგამომცემლობა გამოუშვებს წიგნის ბაზარზე მთელ რიგ პარტსახელმძღვანელოებს.

გამოიცემა:

ლენინ-სტალინი — ნაწარმოებთა ორტომეული საკავშირო კ.პ. (ბ) ისტორიის შესასწავლად;

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე სახელმძღვანელო — ვ. კნორინის, პ. პოსპელოვის და ემ. იაროსლავსკის რედაქციით;

პოლიტცოდნის წიგნები ქალაქისთვის;

ს. ინგულოვი — „პოლიტსაუბრები“, ბ. ვოლინი და ს. ინგულოვი — „პოლიტცოდნა“;

პოლიტცოდნის წიგნები სოფლისთვის:

ვ. კარპინსკი — „ბრძოლა სოციალიზმისთვის“, ვ. კარპინსკი — „საუბარი ლენინიზმის შესახებ“; ა. ლეონტიევი — „პოლიტეკონომია“.

სახელმძღვანელოების საერთო ტირაჟი უდრის 5 მილიონ ეკზემპლარს.

ლავრენტი ბერია. პრაღის კონფერენციის საკითხისათვის

პასუხი ამხანაგებს



ჩემს მოხსენებაში „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ მე ვამბობდი:

„როგორც ცნობილია, ბოლშევიზმის ისტორიაში პრაღის კონფერენცია ბოლშევიკებისა წარმოადგენს შეტრიალების პუნქტს, ვინაიდან მან გააფორმა მენშევიკებთან გათიშვა, განდევნა პარტიიდან ლიკვიდატორ-მენშევიკები და დასაწყისი მისცა ბოლშევიკური პარტიის არსებობას“.

მთელმა რიგმა ამხანაგებმა: გ. დემჩენკომ (მოსკოვი), ი. იუნოვერმა (ლენინგრადი), სახაროვმა (ბაქო), ლიხაჩევმა (კიროვაბადი), მჟავანაძემ (ტფილისი), აკოფოვმა (ერევანი) და სხვ. მომმართეს თხოვნით განვმარტო ჩემი მოხსენების ეს ადგილი.

ზოგიერთი ამხანაგი (ამხ. იუნოვერი, დემჩენკო და სხვ.) მწერს, რომ მოხსენების ეს ადგილი მათში იწვევს გაურკვევლობას და ეჭვებს. მაგალითად, ამხ. იუნოვერი სწერს:

„პატივცემულო ამხანაგო ბერია! ვიმყოფები 4 მარტის სახელობის № 4 სანატორიუმში სოხუმში, წავიკითხე თქვენი მკაფიო, სიღრმით გაჟღენთილი მოხსენება. მოგმართავთ თქვენ სწორედ იმიტომ, რომ მოხსენების ერთი ადგილი ცოტა არ იყოს ერთგვარი გაკვირვებით წავიკითხე. მოხსენების — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ —მე-3 განყოფილებაში ვკითხულობთ შემდეგს: „როგორც ცნობილია, ბოლშევიზმის ისტორიაში პრაღის კონფერენცია ბოლშევიკებისა წარმოადგენს შეტრიალების პუნქტს ვინაიდან მან გააფორმა მენშევიკებთან გათიშვა, განდევნა პარტიიდან ლიკვიდატორ-მენშევიკები და დასაწყისი მისცა ბოლშევიკური პარტიის არსებობას“.

ჩემს პროპაგანდისტულ მუშაობაში მე სხვანაირად ვაყალიბებდი პრაღის კონფერენციის პრინციპულ რაობას. შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ „მან გააფორმა მენშევიკებთან გათიშვა“? ხოლო ყველაზე უფრო გაურკვეველი ადგილი ჩემთვის ის არის, რომ მან „დასაწყისი მისცა ბოლშევიკური პარტიის არსებობას“. ხომ არ მიგაჩნიათ საჭიროდ დააზუსტოთ ეს ადგილი, მით უმეტეს, რომ პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოებში ყოველთვის როდია მოცემული გარკვეული დასკვნები პრაღის კონფერენციის მნიშვნელობის შესახებ. თქვენი განმარტებით დიდად დამეხმარებით შემდგომ მუშაობაში“.

სხვა ამხანაგები (ამხ. სახაროვი, ლიხაჩევი, აკოფოვი) უმართებულოდ სთვლიან ჩემ მიერ გამოთქმულ დებულებას და ფიქრობენ, რომ ეს ფორმულირება ეწინააღმდეგება ლენინის ცნობილ მითითებას, რომ „ბოლშევიზმი არსებობს, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია 1903 წლიდან“. ასე, მაგალითად, ამხ. სახაროვი სწერს:

„როცა ბოლშევიკთა პრაღის კონფერენციაზე ლაპარაკობთ, თქვენ დაასკვნით, რომ „მან დასაწყისი მისცა ბოლშევიკური პარტიის არსებობას“. ეს, მგონი, სწორი არ უნდა იყოს. სავსებით სწორია, რომ პრაღის კონფერენცია ბოლშევიზმის ისტორიაში წარმოადგენდა შეტრიალების პუნქტს, რომ 1912 წელს ბოლო მოეღო იმ ფორმალურ კავშირს ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, რომელიც არსებობდა რ. ს.-დ. მ. პ. IV გამაერთიანებელი ყრილობიდან. მაგრამ აგრეთვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოლშევიზმი, როგორც იდეური მიმდინარეობა, დაიწყო ჯერ კიდევ 90-ან წლებში, ლენინის ბრძოლით პ. სტრუვეს ლეგალური მარქსიზმის წინააღმდეგ, ნაროდნიკობის, ეკონომიზმის წინააღმდეგ, განმტკიცდა ძველი „ისკრას“ პერიოდში, რ.ს.-დ.მ.პ. მე-II ყრილობიდან ბოლშევიზმი არსებობს უკვე როგორც პოლიტიკური პარტია...

გამოთქმა, რომ პრაღის კონფერენციამ „დასაწყისი მისცა ბოლშევიკური პარტიის არსებობას“, ალბათ, წარმოადგენს მხოლოდ არაზუსტ გამოთქმას, და შეიძლება ტექნიკურ შეცდომასაც, ყოველ შემთხვევაში ამას უდავოდ ამტკიცებს თვით მოხსენებაც. და საჭირო იყო ამ გამოთქმის შესწორება“.

ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, არსებობს პარტიის II ყრილობიდან. მენშევიკების წინააღმდეგ ლენინის პროგრამისა, ტაქტიკისა და ორგანიზაციული პრინციპებისათვის ბრძოლაში ბოლშევიკები პარტიის II ყრილობაზე თანამიმდევრობით ატარებდნენ მენშევიკებთან გათიშვის ხაზს. ეს ხაზი განმტკიცებულ იქნა როგორც III ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლაში, ისე თვით პარტიის III ყრილობაზედაც, სადაც მიღებულ იქნა რეზოლუციები „პარტიისაგან ჩამოშორებული ნაწილის შესახებ“, „მენშევიკებთან გაერთიანების პირობების მომზადების შესახებ“ და „იმ კომიტეტთა დაშლის შესახებ, რომლებიც უარს იტყვიან III ყრილობის გადაწყვეტილებათა მიღებაზე“.

აი რა ეწერა ამ რეზოლუციებში:

1) „პარტიისაგან ჩამოშორებული ნაწილის შესახებ“.

„ყრილობა აღნიშნავს, რომ რ.ს.დ.მ.პ.-ში ეკონომიზმთან მისი ბრძოლის შემდეგ დღემდე სხვადასხვა ზომით და სხვადასხვა ურთიერთობაში შენარჩუნებულია მისი მონათესავე ელფერები, რომლებსაც ახასიათებს საერთო ტენდენცია. — შეამცირონ პროლეტარულ ბრძოლაში შეგნებულობის ელემენტთა მნიშვნელობა და დაუმორჩილონ ისინი სტიქიურობის ელემენტებს. ამ ელფერების წარმომადგენლები ორგანიზაციულ საკითხში თეორიულად აყენებენ ორგანიზაცია-პროცესის პრინციპს, რაც არ შეეფერება პარტიის გეგმაშეწონილად გაფორმებულ მუშაობას. პრაქტიკულად კი მრავალ შემთხვევაში ატარებენ პარტიული დისციპლინიდან გადახრების სისტემას, ხოლო სხვა შემთხვევებში, უქადაგებენ რა პარტიის ყველაზე ნაკლებად შეგნებულ ნაწილს არჩევითი საწყისის ფართოდ გამოყენებას, რაც ანგარიშს არ უწევს რუსეთის სინამდვილის ობიექტურ პირობებს, ცდილობენ შეარყიონ პარტიული კავშირის ამჟამად ერთადერთი შესაძლო საფუძველი. ტაქტიკურ საკითხებში ისინი ცდილობენ შეავიწროონ პარტიული მუშაობის გაქანება, [illegible] პარტიების მიმართ [illegible] დამოუკიდებელი პარტიული ტაქტიკის წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენი პარტიისათვის შესაძლებელი და სასურველია [illegible] როლი სახალხო აჯანყებაში, იმის წინააღმდეგ, რომ პარტიამ, რანაირი პირობებშიაც უნდა იყოს, მონაწილეობა მიიღოს დროებით დემოკრატიულ-რევოლუციურ მთავრობაში.

ყრილობა წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრს აწარმოონ ყველგან ენერგიული იდეური ბრძოლა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პრინციპებისაგან ასეთი ნაწილობრივი გადახრების წინააღმდეგ, **მაგრამ ამავე დროს სცნობს, რომ იმ პირთა მონაწილეობა პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებიც ამა თუ იმ ზომით ასეთ შეხედულებებს იზიარებენ, დასაშვებია იმ აუცილებელი პირობით, რომ ისინი, აღიარებენ რა პარტიულ ყრილობებს და პარტიის წესდებას, მთლიანად ემორჩილებოდნენ პარტიულ დისციპლინას**“.

(ხაზი ჩემია. — ლ. ბ.).

(„რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის 1905 წლის მესამე მორიგი ყრილობა“. ოქმების სრული ტექსტი. სახელმწიფო გამომცემლობა, მოსკოვი, 1924 წ. გვ. 523 — 524).

2) „მენშევიკებთან შეერთების პირობების მომზადების შესახებ“.

„რ.ს.-დ.მ.პ. მესამე ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს ყოველგვარი ზომები რ.ს.-დ.მ.პ.-საგან ჩამოშორებულ ნაწილთან შეერთების პირობების მომზადებისა და შემუშავებისათვის, ამასთან ასეთი პირობების საბოლოო დამტკიცება უნდა მიენდოს ახალ პარტიულ ყრილობას“.

3) „იმ კომიტეტთა დაშლის შესახებ, რომლებიც უარს იტყვიან III ყრილობის გადაწყვეტილებათა მიღებაზე“.

„იღებს რა მხედველობაში იმის შესაძლებლობას, რომ ზოგიერთი მენშევიკური ორგანიზაცია უარს იტყვის III ყრილობის გადაწყვეტილებათა მიღებაზე, ყრილობა წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს დაშალოს ასეთი ორგანიზაციები და დაამტკიცოს, როგორც კომიტეტები მათი პარალელური ორგანიზაციები, რომლებიც ყრილობას ემორჩილებიან. **მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გულდასმითი გამორკვევით სავსებით დადასტურდება, რომ მენშევიკურ ორგანიზაციებსა და კომიტეტებს არ სურთ დაემორჩილონ პარტიულ დისციპლინას**“.

(ხაზი ჩემია. — ლ. ბ.).

(საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციების და ც. კ.-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, 1898—1932 წ. ნაწ. 1, გვ. 57).

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ, კიდევ უფრო შეამჭიდროვეს რა ბოლშევიკური პარტია და განამტკიცეს რა III ყრილობაზე მენშევიკებთან გათიშვის ხაზი, ბოლშევიკებმა იმ პერიოდში, მენშევიკთა ლიბერალურ-კადეტური პოლიტიკის გამომჟღავნების ყველა შესაძლებლობის გამოყენების მიზნით, ჯერ კიდევ არ მიიყვანეს ეს გათიშვა მენშევიკებთან ფორმალური გაერთიანების სრულ და საბოლოო ლიკვიდაციამდი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა უფრო გვიან პრაღის კონფერენციაზე 1912 წელს.

(ცნობილია აგრეთვე, რომ „გადამჭრით იბრძოდნენ რა პარტიის ორი ნაწილის [illegible]“ (ლენინი). ბოლშევიკებმა ტამერფორსის პარტიულ კონფერენციაზე (1905 წ.) მიიღეს რეზოლუცია პარტიის გაერთიანების შესახებ. რომელშიაც ნათქვამი იყო:

1) „პრაქტიკული გაერთიანების მიზნით და როგორც დროებითი ზომას გამაერთიანებელ ყრილობამდე, კონფერენცია მოითხოვს პრაქტიკული (ცენტრების) და ლიტერატურული ცენტრალური ორგანოების დაუყოვნებლივ და ერთდროულ გაერთიანებას თანასწორობის საფუძველზე, ამასთან რედაქციის წევრები შეიძლება იყვნენ პრაქტიკული ცენტრის წევრები.

რედაქცია ხელმძღვანელობს საერთო ცენტრის დირექტივებით. რედაქტორთა ერთი ნაწილის სურვილით რედაქცია მოვალეა დაბეჭდოს მათი განსხვავებული აზრი სათანადო სარედაქციო შენიშვნით.

2) კონფერენცია მხარს უჭერს პარალელური ორგანიზაციების დაუყოვნებლივ შეერთებას ადგილებზე.

3) გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევის შესახებ.

შეერთებულმა ცენტრალურმა კომიტეტმა და საორგანიზაციო კომიტეტმა ან ცენტრალური კომიტეტისა და საორგანიზაციო კომიტეტის გაერთიანებულმა საბჭომ, თუ შეერთება არ მოხდება, დაუყოვნებლივ უნდა გამოაცხადონ რ.ს.-დ.მ.პ. გამაერთიანებელი ყრილობის მოწვევა. რათა ყრილობა რაც შეიძლება მალე გაიხსნას. წარმომადგენლობა გაერთიანებულ ყრილობაზე უნდა იყოს არჩევითი და პროპორციული. დელეგატების არჩევნებში მონაწილეობას იღებს პარტიის ორგანიზაციის ყველა წევრი პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე“.

(საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ.-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, 1898—1932 წ. ნაწ. 1. გვ. 62—63.).

პარტიის IV ყრილობა (1906 წ.) ჩვენი პარტიის ისტორიაში შევიდა, როგორც გამაერთიანებელი ყრილობა. ამ ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ 7 მენშევიკი და 3 ბოლშევიკი. V (ლონდონის) ყრილობა აგრეთვე გაერთიანებული ყრილობა იყო, ყრილობაზე არჩეულ იქნა რ.ს.-დ.მ.პ. ცენტრალური კომიტეტი. რომლის წევრთა შემადგენლობაში შევიდნენ 5 ბოლშევიკი, 4 მენშევიკი, 2—პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან და 1—ლატვიის მხარის ს.-დ.-საგან.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა მოვიგონოთ „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის 1909 წლის თათბირის გადაწყვეტილებანიც, რომლებიც ეხებიან პრაღის კონფერენციამდე მენშევიკებთან ბრძოლაში ჩვენი პარტიის მეთოდებისა და ტაქტიკის საკითხს. (ცნობილია, რომ „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქცია ფაქტიურად იყო ბოლშევიკური ცენტრი, არჩეული ფრაქციულ სხდომაზე რ.ს.-დ.მ.პ. ლონდონის ყრილობის დამთავრების შემდეგ).

ამ თათბირის რეზოლუციაში — „ბოლშევიკების ამოცანები პარტიაში“ ნათქვამი იყო:

„ამჟამად, სახავს რა ბოლშევიკთა ძირითად ამოცანებს „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქცია აღნიშნავს:

1) რომ პარტიისა და პარტიულობისათვის შემდგომ ბრძოლაში ამოცანას ბოლშევიკური ფრაქციისა, რომელიც უნდა დარჩეს მოწინავე მებრძოლად პარტიულობისა და პარტიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ხაზისათვის წარმოადგენს ყოველმხრივი ენერგიული მხარის დაჭერა ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ცენტრალური ორგანოსათვის. პარტიულ ძალთა გადაჯგუფების ახლანდელ პერიოდში მხოლოდ საერთო პარტიულ ცენტრალურ დაწესებულებებს შეუძლიათ იყვნენ ავტორიტეტული და ძლიერი წარმომადგენილი პარტიის ხაზისა, რომლისზედაც შემჭიდროვდებოდნენ ყველა ნამდვილად პარტიული და ნამდვილად სოციალ-დემოკრატიული ელემენტები;

2) რომ პარტიის მენშევიკურ ნაწილში, ლიკვიდატორი მენშევიკების მიერ ფრაქციის ოფიციალური ორგანოს „გოლოს სოციალ-დემოკრატის“ სრული ტყვეობის დროს, ფრაქციის უმცირესობა, რომელმაც ბოლომდი გამოსცადა ლიკვიდატორობის გზა, უკვე იმაღლებს პროტესტის ხმას ამ გზის წინააღმდეგ და კვლავ იძებს პარტიულ ნიადაგს თავისი საქმიანობისათვის („[illegible]“ მენშევიკთა წრეები სპბ-ში, მენშევიკების გათიშვა მოსკოვში, გათიშვა „გოლოს სოციალ-დემოკრატის“ რედაქციაში, ამის შესაბამი განაწილება ბუნდში და სხვ.).

3) რომ ასეთ პირობებში ბოლშევიკების ამოცანას, რომლებიც პარტიის შემჭიდროებულ ავანგარდად დარჩებიან, წარმოადგენს არა მარტო ბრძოლის განგრძობა ლიკვიდატორებისა და რევიზიონიზმის ყოველგვარი სახეობის წინააღმდეგ, არამედ სხვა ფრაქციების მარქსისტულ და პარტიულ ელემენტებთან დაახლოებაც, როგორც ამას გვიკარნახებს მიზანთა ერთიანობა რ.ს.-დ.მ.პ. შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში“.

(„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები. საკ. კ.პ. (ბ) ც. კ.-ის პარტგამომცემლობა, 1934 წ., გვ. 179—180).

იგივე აზრია გატარებული თათბირის გადაწყვეტილებაშიც „პარტიისაგან განცალკევებული ბოლშევიკური ყრილობის ან ბოლშევიკური კონფერენციის სასარგებლოდ აგიტაციის შესახებ“, რომელშიაც ნათქვამია:

„იღებს რა მხედველობაში: რომ ბოლშევიკური ფრაქცია პარტიული ერთიანობის აღდგენის დროიდან გამოჰყოფდა და რაზმავდა თავისი პოლიტიკური ხაზის მომხრეებს ყოველთვის ისეთ საკითხებზე, რომლებიც უკვე გამხდარიყვნენ საერთო პარტიული დისკუსიის საგნად, და ყოველთვის იდეური ბრძოლის გზით ამ საკითხთა გადაწყვეტილებისათვის საერთო პარტიულ ასპარეზზე — პარალელური პლატფორმები და დისკუსიები პარტიულ უჯრედებში, საერთო პარტიულ ყრილობებზე;

რომ მხოლოდ ასეთი გზა უზრუნველჰყოფს ნამდვილ თანამოაზრეთა შემჭიდროებასაც და ყველა იმ ელემენტის მიზიდვასაც ფრაქციებში, რომლებიც არსებითად მისი მონათესავენი არიან;

რომ ჩვენი ძირითადი მიზნის განხორციელებლადაც, პარტიაზე ზეგავლენის მოსახდენად მასში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხაზის საბოლოო გამარჯვების ინტერესებისათვის, ბოლშევიკების გამოყოფა მხოლოდ საერთო პარტიულ ასპარეზზე წარმოადგენს ერთადერთ სწორ და ერთადერთ მიზანშეწონილ გზას;

რომ სხვა გზა—საგანგებო ბოლშევიკური კონფერენციებისა და ყრილობების მოწვევის გზა — აუცილებლად გამოიწვევდა პარტიის გათიშვას თავიდან ბოლომდე და გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა იმ ფრაქციას, რომელიც იკისრებდა რ.ს.-დ.მ.პ. ასეთი საბოლოო გათიშვის ინიციატივას.

ღებულობს რა ყოველივე ამას მხედველობაში, „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქცია ადგენს:

1. გაფრთხილებულ იქნას ყველა თანამოაზრე სპეციალური ბოლშევიკური ყრილობის სასარგებლო აგიტაციის წინააღმდეგ, როგორც ისეთი აგიტაციის წინააღმდეგ. რასაც ობიექტურად პარტიის გათიშვისაკენ მივყავართ და რასაც შეუძლია გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს იმ პოზიციას, რომელიც უკვე მოპოვებულია პარტიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მიერ.

2. ბოლშევიკთა უახლოესი კონფერენცია შეუფარდდეს მორიგ პარტიულ კონფერენციას, ხოლო ფრაქციის უზენაეს კრებად მთლიანად იქნება თანამოაზრეთა კრება უახლოეს პარტიულ ყრილობაზე.

3. იმის გამო, რომ დღის წესრიგში დასმულია მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც აღელვებენ პარტიას და ფრაქციას, დაევალა ბოლშევიკებს ცენტრალურ კომიტეტში დაჟინებით მოითხოვონ საერთო პარტიული კონფერენციის მოწვევის შეძლებისამებრ დაჩქარება (ვადა 2-3 თვე) და შემდეგ პარტიული ყრილობის მოწვევის დაჩქარება“.

(ხაზი ჩემია. — ლ. ბ.).

(„პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის თათბირის ოქმები. საკ. კ.პ. (ბ) ც. კ.-ის პარტგამომცემლობა, გვ. 181—182).

ბოლშევიზმი, რომელიც 1903 წლიდან არსებობდა, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია. პრაღის კონფერენციამდე მენშევიზმის წინააღმდეგ აწარმოებდა ბრძოლას ფორმალურად საერთო, მენშევიკებთან გაერთიანებული პარტიის ჩარჩოებში. იცავდნენ რა საერთო პარტიულ ასპარეზს მენშევიკების სამხილებლად, იმისათვის, რომ ჩამოეშორებინა მათთვის მათ მიერ მოტყუებული მუშები და გაენადგურებინა მენშევიზმი.

ამ ბრძოლის ყველა ეტაპზე ბოლშევიკები იცავდნენ და იმარჩუნებდნენ თავისი პარტიული ორგანიზაციის ფაქტიურ დამოუკიდებლობას. არ [illegible] მენშევიკებს. მაგრამ ფორმალურად ბოლშევიკები 1912 წლამდი იმყოფებოდნენ გაერთიანებულ პარტიაში.

პრაღის კონფერენციაზე, გააფორმეს რა გათიშვა მენშევიკებთან, ბოლშევიკები სამუდამოდ გამოვიდნენ გაერთიანებული პარტიის ორგანიზებული ჩარჩოებიდან. იმ პარტიისა, რომელსაც სათავეში ედგა ერთი საერთო ცენტრალური კომიტეტი. ამით ამ კონფერენციამ დასაწყისი მისცა ბოლშევიკური პარტიის ფორმალურ არსებობას თავისი განსაკუთრებული ცენტრალური კომიტეტით.

მენშევიკები მთელი ძალღონით ცდილობდნენ გაეთიშათ რუსეთის მუშათა კლასი, დაესუსტებინათ და გაეხადათ იგი ლიბერალურ-მონარქიული ბურჟუაზიის მორჩილ იარაღად. მუშათა მოძრაობის გათიშვის ამ პოლიტიკას ბოლშევიკებმა დაუპირისპირეს: მენშევიზმთან გათიშვის ხაზი. მენშევიკთა გამცემლობის მხილება და მუშათა კლასის დარაზმვა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ-ლენინის პარტიის დროშის ქვეშ.

პრაღის კონფერენციაზე მენშევიკებთან გათიშვა საბოლოოდ გაფორმდა. ბოლშევიკებმა, რომლებმაც მენშევიკებთან ფორმალური გაერთიანება მენშევიზმის გასანადგურებლად გამოიყენეს, პრაღის კონფერენციაზე საბოლოოდ განდევნეს პარტიიდან მენშევიკ-ლიკვიდატორები და **სამუდამოდ მოუღეს ბოლო მენშევიკებთან ფორმალური გაერთიანების ყოველგვარ ნაშთს.**

ამიტომ პრაღის კონფერენციის შემდეგ ბოლშევიზმი ფორმალურადაც გახდა დამოუკიდებელი პარტია. ეს არის საკითხის დედაარსი.

ბოლშევიკური პარტიის ამ არა მარტო არსებითს, არამედ ფორმალურ დამოუკიდებლობას, რაც მიღწეულია მენშევიკებთან ყოველგვარი ორგანიზაციული კავშირის გაწყვეტის გზით. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ გავიგოთ ჩვენი პარტიის მეთოდები და ტაქტიკა, რომლებმაც უზრუნველჰყვეს მენშევიზმის განადგურება.

საქმე ის არის, რომ მენშევიკებთან ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების საკითხი მათთან საბოლოო გათიშვის შემდეგ ახლებურად დაისვა.

აი რას სწერდა ლენინი გათიშვის მნიშვნელობის შესახებ:

„გათიშვა არის ყოველგვარი ორგანიზაციული კავშირის გაწყვეტა, რასაც შეხედულებათა ბრძოლა ორგანიზაციის შიგნითი ზეგავლენის ნიადაგიდან გადაჰყავს ორგანიზაციის გარეთა ზეგავლენის ნიადაგზე, ამხანაგების გამოსწორებისა და დაყოლიების ნიადაგიდან მათი ორგანიზაციის მოსპობის ნიადაგზე. ჩამოშორებული ორგანიზაციის წინააღმდეგ მუშათა (და საერთოდ ხალხთა) მასის ამხედრების ნიადაგზე...

თუ ვინმე პარტიის შიგნით დასაშვები ბრძოლის საზომს მიუყენებს ბრძოლას გათიშვის ნიადაგზე. ბრძოლას, რომელიც

დასასრული იხ. მე-2 გვ.

რაიონულ გაზეთს უნდა ვუხელმძღვანელოთ

„პრავდის" მოწინავე, 31-X

ჩვენი პრესა უკანასკნელ წლებში რაოდენობრივად ფრიად გაიზარდა. გაზეთების რიცხვმა და მათმა საერთო ტირაჟმა, ძალიან იმატა, განმტკიცდა რაიონული გაზეთების ქსელი: მთელს ჩვენს ქვეყანაში, ალბათ, ხუთიოდე ათეული რაიონიც კი არ მოიპოვება, სადაც ნაბეჭდი მრავალტირაჟიანი გაზეთი არ გამოდიოდეს. ხოლო რაიონული გაზეთების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია, ვინაიდან ეს ბოლშევიკური პრესის ისეთი რაზმია, რომელიც ყველაზე უფრო ღრმად იჭრება მასებში. უწინარეს ყოვლისა რაიონული გაზეთების მრავალ-ათეული მილიონი ეგზემპლარიდან ჰკრებს კოლმეურნეთა მასა ინფორმაციას ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ამბების შესახებ, ითვისებს პოლიტიკური კულტურის საწყისებს, ეცნობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს. რაიონული პრესის საშუალებით პარტია ყოველდღე ესაუბრება მრავალ მილიონ კოლმეურნეს, რომელთა უმეტესობა, გარდა თავისი, რაიონული გაზეთისა, არავითარ სხვა გაზეთს არ კითხულობს.

პირდაპირ უნდა ითქვას: რაიონული გაზეთების უმეტესობა თავისი ახლანდელი სახით ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელთაც მათ უყენებენ ამჟამად პარტიაცა და მკითხველთა მილიონებიც. მოწინავე მუშათა და კოლმეურნეთა შემოქმედებითი ინიციატივა და ენერგია ჩვენი ქვეყნის თვითეულ კუთხეში სდუღს და გადმოდის. ყოველი გაზეთი, მათ შორის რაიონულიც, უნდა იყოს ამ გიგანტური ენერგიის აკუმულატორი, მატარებელი და მამოძრავებელი. თავისი რაიონისა და მთელი ქვეყნის ცხოვრების მაჯისცემა, ახალი აზრები, რომლებიც ჰორიზონტს აფართოებენ, უფრო და უფრო მეტ ჰორიზონტებს გადაშლიან — აი რა სურს ჰპოვოს, დაინახოს მკითხველმა თავისი გაზეთის ყოველ ნომერში. მაგრამ ხშირად, ძალიან ხშირად, ახალი და სისხლჭარბი, ცხოვრების ყველა მხარის მომცველი ინფორმაციის მაგივრად, რაიონული გაზეთი მკითხველს, უმასპინძლდება ცრუ-ოპერატიული სტატიებისა და შენიშვნების გახმარი ლუკმით, ახალი აზრების მაგივრად — უკვე მრავალჯერ გადაღეჭილის განმეორებით, (ცოცხალი თხრობისა და ჩვენების მაგივრად — კაზიონური შეყვირებით.

პროპაგანდისა და აგიტაციის თითონ მეთოდები და ტიპი რაიონულ გაზეთების უმეტესობაში დაბალ, პარტიისა და ჩვენი ქვეყნის მიერ უკვე განვლილ, საფეხურზე დარჩა. როცა სამი - ხუთი წლის წინათ რაიონული გაზეთი თავის ოთხივე გვერდზე ამტკიცებდა კოლმეურნეობაში შესვლის აუცილებლობას, ტრაქტორის უპირატესობას გუთანთან შედარებით, კომბაინის უპირატესობას ნამგალთან შედარებით, — ეს მაშინ ბუნებრივი, სწორი — დროული იყო. მაგრამ დღეს კოლმეურნეთა მასას, რომელიც ასი ათასობით გამოჰყოფს ხოლმე საკოლმეურნეო შრომის ენტუზიასტებს, დამკვრელებს, ისეთებს, როგორიც არიან მარია დემჩენკო, ანა შვიდკა, — განა დააკმაყოფილებს რაიონული გაზეთის წინანდელი დონე? რა თქმა უნდა ვერა.

ამჟამად რედაქციას მოეთხოვება განსაკუთრებული უნარი — განმარტოს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის გადაწყვეტილებების აზრი, იდეა, არსი, საჭიროა უნარი — პარტიის ლოზუნგები გადიტანონ რაიონის კონკრეტული პირობებში მოქმედების ენაზე. საჭიროა გარკვეულად ვიცოდეთ ჩვენი რაიონის, ყოველი სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის ყველა თავისებურება. ასეთი უნარი ჯერ კიდევ არ გააჩნია ძალიან ბევრ რაიონულ გაზეთს, რომლებიც პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა უხეირო გადმოცემით არიან გართული.

ამაში აშკარავდება იმ ადამიანთა პოლიტიკური კულტურის უქონლობა, რომლებიც გაზეთს აკეთებენ. ეს აშკარავდება ბრძანებისა და მუქარის ფართოდ გავრცელებულ ტონშიც. რაიონულ რედაქტორებს ავიწყდებათ (ზოგჯერ არა მარტო რაიონულ რედაქტორებს!), რომ გაზეთი არ არის სადირექტივო და, მით უფრო, ადმინისტრაციული ორგანიზაცია. მათ ავიწყდებათ, რომ გაზეთის ამოცანაა, ზეგავლენა მოახდინოს მკითხველთა მასის შეგნებაზე დაჯერების, ჩვენების, შედარების სიტყვებით, რომ მუქარისა და დაშინების მყვირალა ტონი ყველაზე ნაკლებად ეფექტურია და ყველაზე ნაკლებად შეეფერება ბოლშევიკურ გაზეთს.

რატომ ხდება, რაზეა დამოკიდებული რაიონული პრესის ყველა ეს და მრავალი სხვა ნაკლი და უხეირობა? რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, ეს დამოკიდებულია მუშაკებზე, რაიონული გაზეთების რედაქციათა კადრების მდგომარეობაზე. ამ მუშაკთა საგრძნობ ნაწილს ფრიად ვიწრო ჰორიზონტი, როგორც საერთო, ისე პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე, სუსტი ჟურნალისტური კვალიფიკაცია ახასიათებს, პრესის მუშაკთა რიგები დანაგვიანებულია უცხო და შემთხვევითი ადამიანებითაც, რასაც არაიშვიათად მოსდევს პოლიტიკურად მავნე, ზოგჯერ პირდაპირ ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა შედეგები.

ზოგჯერ ამ ანტიპარტიულ გამოსვლებს თითქოს შემთხვევითი შეცდარბეჭდილის, მცდარნაწერის, წამოცდენილი სიტყვის ხასიათი აქვს. შეგვეძლო მოგვეყვანა არაერთი და ორი საგაზეთო სათაური, რომლებიც ობიექტურად კონტრრევოლუციურია, რედაქციაში მოკალათებული პოლიტიკური მავნებლები ჩააცივდებიან ხოლმე, იმას, რომ გაზეთში გაკრიტიკებული ადგილობრივი მუშაკები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა თანამოგვარეები არიან, ამ გვარებს ბეჭდავენ გაზეთის უაღრესად თვალსაჩინო ადგილას და თან ურთავენ ლანძღვა-გინებას, მკაცრ კრიტიკას. ამასვე სჩადიან საოლქო ხელმძღვანელების მიმართაც. მაგალითად,—ივანოვოს ოლქის სუდაისკის რაიონის გაზეთ „კოლხოზნოე ზნამიაში" დაბეჭდილი იყო ასეთი სათაური: „ნოსოვის ვარაუდი კოლმეურნეობისათვის საზიანოა". იმავე ივანოვოს ოლქის მეორე გაზეთმა (გალიჩისამ) ამ დღეებში დაბეჭდა სათაური: „ნოსოვის სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა", ხოლო პარტიის ივანოვოს ოლქკომს, რომელსაც ამხანაგი ნოსოვი მეთაურობს, საჭიროდ არ მიაჩნია ასეთი პროპაგანდით დაინტერესდეს.

მაგრამ პარტიის ივანოვოს ოლქკომი რაიონულ პრესას საერთოდ არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ივანოვოს ოლქის უპატრონო გაზეთები —მეტწილად მოსაწყენი, უფერული, უსისხლხორცო და უბილონი — სავსე არიან პოლიტიკური შეცდომებით. ივანოვოს ოლქკომს დავიწყებია ამხანაგ სტალინის სიტყვები: პრესა ჩვენი პარტიის ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღია. პარტიის მიერ ოლქკომისათვის მინდობილი ყველაზე ბასრი იარაღი ივანოვოს ოლქკომმა სათანადოდ ვერ გამოიყენა და ამით ამ იარაღს თვალსაჩინოდ დაუკარგა სიბასრე და ძალა სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ასეთი მდგომარეობაა არა მარტო ივანოვოს ოლქში, არამედ ზოგიერთ სხვა ოლქშიც, მაგალითად; კურსკისა და ჩელიაბინსკის ოლქებში. ამ ოლქებში, ისე როგორც ივანოვოს ოლქში, რაიონული პრესის საერთო უხეირობა განსაკუთრებით, თვალსაჩინოდ ჩანს. პარტიის რაიკომების ხელმძღვანელობა და მონაწილეობა რაიონული გაზეთების მუშაობაში განისაზღვრება რაიონის და ოლქის ბატონ-პატრონთა სიტყვებისა და დადგენილებების ბეჭდვით. იმ ადამიანებს, რომლებიც გაზეთებს აკეთებენ, არ იცნობს არც ოლქკომი, არც პარტიის რაიკომი, რომლებიც ავად თუ კარგად მხოლოდ რედაქტორს იცნობენ. სდუმან და უმოქმედობას იჩენენ სამხარეო და საოლქო კომიტეტთა კულტპროპები, რომლებსაც რაიონული რედაქციები ვერასოდეს ხედავენ და რომლებისაგან მთელი თვეობით არ ჩანს არც ერთი სახელმძღვანელო თუგინდ უბრალო ბარათი, წერილი, აზრი გაზეთის შესახებ. პარტიის ოლქკომი თავისი მდუმარებით აქეზებს თავისი რაიონული გაზეთების არაპარტიულ სტილსაც, ტლანქ მლიქვნელობას რაიონულ და საოლქო ხელმძღვანელთა მიმართ, მაგალითად გამოდგება თუნდაც ჩელიაბინსკის ოლქის ზეტუხოვის რაიონის გაზეთი, რომელიც გულისამრევად და სრულიად დაუსჯელად მლიქვნელობს.

რაიონული გაზეთების უპატრონობას დროა ბოლო მოეღოს... უკვე დიდი ხანია საჭიროა სათანადოდ შევამოწმოთ მუშაკთა კადრები, რომლებიც რაიონულ გაზეთს აკეთებენ, და გავცრილოთ ყოველივე უვარგისი, უცხო, საბჭოთა პრესაში მუშაობის უნარმოკლებული. უკვე დიდი ხანია დროა სათანადოდ მოვკიდოთ ხელი რაიონული პრესის ახალი კადრების — არა მარტო რედაქტორების, არამედ აგრეთვე რედაქციათა მდივნების, ლიტერატურული თანამშრომლებისა და კორექტორების მომზადებას, ვინაიდან არც კორექტორი ასრულებს მცირე როლს საგაზეთო მუშაობის პროცესში. უკვე დიდი ხანია დროა პარტიის ოლქკომებმა და რაიკომებმა შეიგნონ, რომ საგაზეთო სწავლებისა და მუშაობისათვის უნდა გამოიყონ ყველაზე კულტურული, პოლიტიკურად ყველაზე განათლებული კომუნისტები. უკვე დიდი ხანია დროა შევიგნოთ, რომ პარტიული ჟურნალისტიკა — პროფესიაა და ეს პროფესია უნდა ვასწავლოთ ადამიანებს ამასთან ისეთ ნიჭიერ ადამიანებს, რომელნიც ლიტერატურული მუშაობის მიდრეკილებას იჩენენ.

უკვე დროა ბოლო მოვუღოთ რაიონული გაზეთის მეურნეობის სილატაკეს, ჩვენმა მრეწველობამ ისწავლა — ათასგვარი ურთულესი მანქანის, დაზგების, ყველაზე რთული აგრეგატების დამზადება, ხოლო პოლიგრაფიული მანქანათმშენებლობა ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაშია და რაიონული გაზეთების სტამბათა უმეტესობა მუშაობს ძველი დამტვრეული შრიფტით და „ოჩაკოვის და ყირიმის დაპყრობის ხანის" საბეჭდი მანქანებით, ასეთი „მოწყობილობით" ფრიად ძნელია, კულტურული გარეგნობის გაზეთის გამოცემა. მკითხველი კი ახლა სამართლიანად მოითხოვს სწორედ კულტურულ გაზეთს—შინაარსითაც და გარეგნობითაც.

მკითხველთა მოთხოვნა უნდა დავაკმაყოფილოთ. მრავალი ათასი რაიონული გაზეთის ამჟამად ძილისმომგვრელი და უფერული ფურცლები უნდა აციმციმდეს ყველა იმ მკაფიო ფერით, რომლებითაც ელვარებს ცხოვრება ჩვენს შესანიშნავ ქვეყანაში, პარტიის ყოველი სამხარეო კომიტეტისა და ყოველი რაიკომის, როგორც პარტიული მეთაურებისა და ხელმძღვანელების, ღირსების საქმედ უნდა იქცეს თავისი რაიონული გაზეთის ძირფესვიანად გაუმჯობესება, რათა უბასრესი და მძლავრი იარაღი, რომელიც პარტიამ მათ ჩააბარა და მიანდო, აუცდენლად ურტყამდეს ნიშანში.

პრაღის კონფერენციის საკითხისათვის

დასასრული

გარედან არის მიმართული პარტიის წინააღმდეგ, ან (ადგილობრივი გათიშვის დროს) ამათუიმ პარტიული ორგანიზაციის წინააღმდეგ. მაშინ ასეთი ადამიანი უნდა ჩავთვალოთ ან ბავშვურად გულუბრყვილო, ან თვალთმაქც ადამიანად".

(ლენინი, თხზულებანი. გამოცემა მე-3, ტ. XI, 1907 წ., გვ. 220—222).

ასე აყენებდა ლენინი საკითხს რ. ს.-დ. მ. პ. პეტერბურგის ორგანიზაციაში მომხდარ გათიშვასთან დაკავშირებით.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ საკითხის ასე დაყენება მით უფრო უნდა მიეკუთვნოს ჩვენი პარტიის ბრძოლას მენშევიზმის წინააღმდეგ პრაღის კონფერენციის პერიოდში, რამაც დაამთავრა მენშევიკებთან გათიშვა და, მაშასადამე, მოგვცა ბოლშევიკური პარტიის არსებობის ფორმალურ-ორგანიზაციული ბაზა.

აი რატომ წარმოადგენდა პრაღის კონფერენცია შეტრიალების პუნქტს ბოლშევიზმის ისტორიაში.

აი რატომ იყო, რომ პრაღის კონფერენციამ დასაწყისი მისცა ბოლშევიკური პარტიის დამოუკიდებელ არსებობას.

„პრავდა" 26 ოქტომბერი

იტალია-აბისინიის ომი

სანქციები იტალიის წინააღმდეგ და სახელმწიფოები

იაპონია

ტოკიო, 30 ოქტომბერი. იაპონიის მთავრობამ, სწერს ასახი, გადასწყვიტა არავითარი პასუხი არ გასცეს ერთა ლიგის ამასწინათ მიღებულ ნოტას, რომელიც იტალიის საწინააღმდეგო სანქციათა კოორდინაციას შეეხება (ადს).

გერმანია

ბერლინი, 30 ოქტომბერი. ინფორმირებული წყაროებიდან მიღებული ცნობებით გერმანიის პასუხი ერთა ლიგის საკოორდინაციო კომიტეტის შეკითხვაზე სანქციების შესახებ არ შეიცავს სანქციების თანხმობას და იმიზეზებს „სასტიკ ნეიტრალიტეტს", რომელსაც იცავს გერმანია იტალია-აბისინიის კონფლიქტის საქმეში.

საფრანგეთი

პარიზი, 30 ოქტომბერი. „ჟურნალ ოფისიელში" გამოქვეყნებულია დეკრეტი, რომლის თანახმადაც საფრანგეთი, 29 ოქტომბრიდან გამოიყენებს იტალიის წინააღმდეგ საფინანსო სანქციებს.

შვეიცარია

ვენა, 30 ოქტომბერი. ბერნიდან იუწყებიან, რომ შვეიცარიის მთავრობას მიუღია დადგენილება, რომლითაც აკრძალულია შვეიცარიიდან გატანა, ან მის ტერიტორიაზე გატარება დადგენილებაში სპეციალურად ჩამოთვლილი კატეგორიის იარაღისა, ვაზნებისა და სხვადასხვა სამხარ მასალისა, რომელიც დანიშნული იქნება იტალიასა, ან აბისინიისათვის. მთავრობა დათანხმდა აგრეთვე ცხოვრებაში გაატაროს სანქციათა კომიტეტის მიერ მიღებული წინადადებანი № 2 (იტალიის საწინააღმდეგო საფინანსო ღონისძიებათა შესახებ) და № 4 (ზოგი საქონლის იტალიაში გატანის შესახებ). წინადადება № 3-ის (იტალიიდან საქონლის შემოტანის აკრძალვა, ე. ი. იტალიის საქონლის ბოიკოტი) მიღება შვეიცარიის მთავრობას არ მიაჩნია შესაძლოდ, ვინაიდან „ეს მოასწავებდა შვეიცარიისთვის იტალიაში მთელი ექსპორტის დაკარგვას, ძველი, მტკიცე სამეურნეო კავშირის გაწყვეტას" და სხ. მთავრობა აღნიშნავს, რომ იგი ზომებს მიიღებს, რათა „იტალია-შვეიცარიის შორის აქამდე არსებული საქონელბრუნვის მოცულობა არ იქნას გადიდებული". (ადს).

ნორვეგია

ოსლო, 28 ოქტომბერი. ნორვეგიის მთავრობამ აცნობა ჟენევის სანქციათა კომიტეტს, რომ ის მზად არის შემოიღოს კომიტეტის მე-3 და მე-4 წინადადებანი, რომელნიც კრძალავენ ნორვეგიაში იტალიის საქონლის შემოზიდვასა და ზოგი კატეგორიის საქონლის იტალიაში გაზიდვას (ადს).

სამხრეთის ფრონტი

ლონდონი, 29 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფის" სპეციალური კორესპონდენტი ჯიბუტში აღნიშნავს: იტალიელები სამხრეთ ფრონტზე შეტევას აწარმოებენ სამი მიმართულებით. იტალიის ჯარების ორი კოლონა მიიმართება ორი დიდი მდინარის გაყოლებით. მესამე კოლონა მიდის პირდაპირ უდაბნოზე, რომელიც ბრიტანეთის სომალის საზღვრებს აკრავს. დოლოს რაიონში დაბანაკებული იტალიის ჯარები უტევენ აბისინიის წვრილ-წვრილ რაზმებს, რომელნიც იტალიის ჯარს ესხმიან თავს მდინარე განალო-დორიას მხრიდან.

ოგადენის პროვინციის ჩრდილო ნაწილში იტალიის თვითმფრინავებმა, კორესპონდენტის სიტყვით, ხარადიგიტს დაუშინეს ყუმბარა და დაანგრიეს. სასა ბენეს და დაგაბურს უკვე ერთი კვირაა ყოველდღიურად უშენენ ყუმბარას იტალიის თვითმფრინავები.

ბრიტანეთის სომალიში მყოფ მეთვალყურეების აზრით, იტალიელებისა და აბისინელების სერიოზული შეტაკება რამდენისამე კვირის შემდეგ უნდა მოხდეს, ვინაიდან აბისინელები კონტრ-შეტევაზე გადასვლას მხოლოდ მას შემდეგ ჰფიქრობენ, როდესაც იტალიელები მთიან რაიონებში შეიჭრებიან.

„ტაიმსის" ადის-აბებელი კორესპონდენტის ცნობით, რადიოკავშირი დედაქალაქსა და გორახაის შორის აღდგენილია. გორახაი აბისინელების ხელშია.

ლონდონი, 29 ოქტომბერი. ჯიბუტში სამხრეთ ფრონტიდან მიღებული ცნობით აბისინიის ჯარებმა აჯასაფე ვორკის სარდლობით უკან დაახევინეს იტალიის ჯარებს მდინარე დაზას ხაზიდან.

ადის-აბებიდან მიღებული ცნობებით იტალიის თვითმფრინავთა ესკადრილიას ყუმბარა დაუშენია მაგალოსთვის (ადს).

ჩრდილოეთის ფრონტი

რომი, 29 ოქტომბერი. ოფიციალური ცნობების თანახმად, იტალიის ჯარებმა უკანასკნელ დღეებში წინ წაიწიეს ჩრდილოეთის ფრონტზე 25 კილომეტრით. იმავე ცნობების მიხედვით იტალიელებისთვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. სამხარ ოპერაციებს დიდად უშლის ხელს ის გარემოება, რომ მრავალ რაიონში კვლავ წვიმა მოდის (ადს).

○

იტალია აღელვებულია

რომი, 30 ოქტომბერი. მთელი რიგი სახელმწიფოების გადაწყვეტილებამ ძალაში შეიყვანონ სანქციები იტალიის წინააღმდეგ, ხელახლა დიდი მღელვარება გამოიწვია იტალიის პრესაში. გაზეთები მკაცრად ილაშქრებენ ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ (ადს).

აბისინიაზე იტალიის თავდასხმის საწინააღმდეგო მიტინგი

ლონდონი, 30 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, დღეს კალკუტაში გაიმართა სრულიად ინდოეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის მიერ მოწვეული მასობრივი მიტინგი აბისინიაზე იტალიის თავდასხმის წინააღმდეგ. მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ინდოეთის მასები მხარს უჭერენ აბისინიის ხალხის ბრძოლას, რომელიც წარმოადგენს ყველა ჩაგრული ხალხის იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ბრძოლის განუყოფელ ნაწილს. (ადს).

○

იაპონიის დელეგაციის შემადგენლობა საზღვაო კონფერენციაზე

ტოკიო, 30 ოქტომბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ დღეს მინისტრთა საბჭომ საგარეო საქმეთა მინისტრის ხიროტას მოხსენების თანახმად დაამტკიცა ინგლისის ნოტის საპასუხო ტექსტი, რომელიც საზღვაო კონფერენციის მოწვევას შეეხება. პასუხში აღნიშნულია, რომ იაპონია ღებულობს ინგლისის წინადადებას და საწინააღმდეგო არა აქვს რა კონფერენცია ორ დეკემბრისთვის იყოს მოწვეული. მაგრამ იმის გამო, რომ იაპონია დაშორებულია კონფერენციის მოსაწვევ ადგილს, შესაძლოა იაპონიის მთავრობამ მიმართოს ინგლისის მთავრობას თხოვნით, ცოტა ხნით გადაიდოს კონფერენციის მოწვევა.

მინისტრთა საბჭომ კონფერენციის მთავარ დელეგატად გამოჰყო ადმირალი ნაგანო და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლად ყოფილი ელჩი ბერლინში ნაგაი. (ადს).

○

მდგომარეობა ჩრდილო-ჩინეთში

ტოკიო, 30 ოქტომბერი. სიმბუნრენგოს სააგენტოს ცნობით, მდგომარეობა ხებეის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში „შეიძლება მოგვარებულად მივიჩნიოთ". პროვინციის სამხრეთ ნაწილში უკანასკნელ დღეებში დიდი სიძნელეები აღმოჩნდა, რაც დაკავშირებულია სამი შეიარაღებული ჯგუფის გამოჩენასთან. ესენი არიან „დამოუკიდებელი ჩრდილო ჩინეთის მომხრენი". თვითეული ჯგუფი 2—3 ათასი ჯარის კაცისაგან შესდგება. ჯგუფი, რომელსაც ვაო-ვაო-ბაო მეთაურობს, იმუქრება სამაზრო ქალაქებს ცინხეს და გუანს (დამინის ახლოს), ტიან-იის ჯგუფი დამინს იმუქრება, ხან შანის ჯგუფი კი ემუქრება სამაზრო ქალაქს ტანჯოუს (ტიანძინის სამხრეთით 100 კილომეტრზე) (ადს).

აგიტატორებისათვის

ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავი

ძირითადი სქემა მომხსენებელთათვის

1) დიდი პროლეტარული რევოლუციის წლისთავი არის საერთაშორისო პროლეტარიატის და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიადი დღესასწაული და ამასთან ერთად პროლეტარული რევოლუციის მზარდი ძალების საბრძოლო დათვალიერება, მისი მოწინავე რაზმის—საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ახალ მიღწევათა წლიური შედეგების შეჯამება.

2) **რა სურათია კაპიტალის ქვეყნებში?**

კრიზისი, რომელიც ალაგალაგ განსაკუთრებული სახის დეპრესიაში გადავიდა. გამოუსვალი უმუშევრობა. ევროპის პროლეტარის საარსებო დონის დაყვანა კოლონიური მონების დამშეული ცხოვრების დონემდე, გლეხთა გაჩანაგება და გაღატაკება.

მხეცური ფაშიზმის თარეში იმ ქვეყნებში, რომლებიც მათ ხელთ იგდეს. მძვინვარე ტერორი, საპყრობილეები, წამება, საკონცენტრაციო ბანაკები მუშებისა და რევოლუციონერებისათვის. დემოკრატიულ თავისუფლებათა უკანასკნელი ნაშთების მოსპობა.

მკვეთრი მაგალითია ფაშისტური გერმანია. მთელი ქვეყნის გადაქცევა მთლიან საპყრობილედ და ყაზარმად, სადაც უნივერსიტეტებში მთავარ მეცნიერებას სამხედრო ვარჯიშობა წარმოადგენს.

სისხლმოწყურებული, ველური შოვინიზმის გაცოფებული პროპაგანდა. რასობრივი „თეორია", რომელიც ცდილობს გააღვივოს მხეცური სიძულვილი სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის.

კულტურის დანგრევა, წიგნების დაწვა. თეატრები, რომლებიც იხურება, დაცალიერებული კინოები. უმუშევარი მხატვრები, არტისტები, მწერლები, მსოფლიო სახელის მქონე დამშეული მეცნიერნი არა — „არიული" წარმოშობისათვის კათედრიდან გაძევებულნი, ყველა არაარიელების მოხსნა სამუშაოდან, და სამსახურიდან.

ქალთა და მამაკაცთა იძულებითი სტერილიზაცია. ებრაელთა რბევა-აწიოკება ბერლინში. მეცნიერების უარყოფა. ექიმბაშობის ასტროლოგიის, მკითხაობის განვითარება, მველი წარმართული რელიგიის აღდგენა. შავბნელ შუასაუკუნოებრივობისაკენ დაბრუნება. გაჭირვების ზრდა, ხელფასის დაცემა. ფასების ზრდა პირველი საჭიროების პროდუქტებზე.

გაჭირვება, შიმშილი, ჩაგვრა, სიბნელე, კაპიტალისტური მსოფლიოს საყარის უპერსპექტივობა.

და წინ—მუქარა სისხლიანი იმპერიალისტური ომისა, რომელსაც ამზადებს, რომლისკენაც მოუხმობს გაცოფებული ფაშიზმი.

მუქარა კოლოსალურ ომისა, მსოფლიო ომისა, ყველა სახელმწიფოს ომისა ყველას წინააღმდეგ! სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო, საგაზო, ქიმიურ, ბაქტერიოლოგიურ ომისა! ომისა, რომელიც არმიისა და მშვიდობიან მოსახლეობას ერთმანეთში არ არჩევს! ომისა, რომელიც ძირფესვიანად ანადგურებს მთელს ქალაქებს, სპობს მთელს ოლქებსა და ქვეყნებს ყველა იქ მცხოვრებთან ერთად!

და იმათ შორისაც კი, ვინც ჯერ კიდევ მიჰყვება კაპიტალიზმს და მტრობს სოციალიზმს, დღითი-დღე უფრო და უფრო მატულობს ისეთების რიცხვი, რომლებიც ხედავენ, რომ კაპიტალისტურ გზაზე გამოსავალი არ არის, ხსნა არ არის. წინ მხოლოდ საშინელება, წყვდიადი და დაღუპვაა.

დიდმა ფრანგმა მწერალმა ლუი სელინმა დასწერა წიგნი „მოგზაურობა ღამის კიდურისაკენ".

ეს არის მოგზაურობა მთელს სიცოცხლეში, მთელს მსოფლიოში და ყველგან ცხოვრებას აწვება ღამის საშინელი წყვდიადი, რომელსაც დასასრული არ უჩანს, რომელიც განთიადს არ მოელის.

და სასოწარკვეთილებაში მოსული ადამიანი აცხადებს:

„და მე მიპყრობს დაუძლეველი სურვილი — ქუჩაში გავიდე, მუხლისთავებზე დავეცე, თავი მაღლა ავწიო, იქითკენ, სადაც ცა უნდა იყოს და სადაც არაფერია, გარდა უკუნეთი წყვდიადისა, და საბრალო ხმით ავწკმავლდე".

ასეთია კაპიტალისტური საზოგადოების სიცოცხლის აზრის შეგრძნობა უაღრესად კულტურული ინტელიგენტის მიერ. ასეთია კაპიტალიზმის მწუხრი, რომელსაც მისი დამცველები უკვე დიდი ხანია აცხადებენ „ევროპის მწუხრად", ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის დაღუპვად..

„ომი, დაღუპვა, წყვდიადი, ადამიანთა საზოგადოების გაველურება, გამხეცება, დაშლა?" — ყვირიან კაპიტალიზმის იდეოლოგები, რომლებიც პანიკას მოუცავს;

3) **ყოველივე ეს სიცრუე და ცილისწამებაა სიცოცხლის მიმართ!**

კულტურა და ცივილიზაცია კი არ იღუპება, არამედ ახლოვდება მხოლოდ **კაპიტალიზმის გარდუვალი** დაღუპვა.

ახლოვდება იმიტომ, რომ კაპიტალიზმი ჩიხში მოემწყვდა, ხოლო კაპიტალიზმის ქვეყნების გვერდით, დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში, სოციალიზმის ძლევამოსილი განვითარება უფრო და უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

4) **რა მოხდა ახალი გასულ წელს კაპიტალიზმის ქვეყნებში?**

მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მდგომარეობის გაუარესება. ომის საფრთხის ზრდა. გერმანიის მიერ ვერსალის ხელშეკრულების დარღვევა. გაფართოებული შეჯიბრება შეიარაღებაში. იაპონიის მიერ ჩინეთის დაპყრობა, რომელიც ახლაც გრძელდება. მანჯურიის დაპყრობის შემდეგ—შიდა მონღოლეთის დაპყრობა, მონღოლეთის შემდეგ — ჩრდილოეთ ჩინეთის დაპყრობა ამჟამად იწყება სამხრეთ ჩინეთის დაპყრობა.

იტალია - აბისინიის ომი, რომელიც შეიძლება გადაიქცეს იტალია-ინგლისის შეტაკებად, საშინელ მსოფლიო შეჯახებად.

გერმანიის ჯარების მობილიზაცია ლიტვის საზღვრებთან, ფაშისტური გერმანიის, პოლონეთის, უნგრეთის გაერთიანება საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად.

ომი, რომელიც უფრო და უფრო ემუქრება მსოფლიოს, — აი რა მოუტანა გასულმა წელმა კაპიტალიზმის ქვეყნებს.

5) **ხოლო რა მისცა ახალი ამ წელმა საბჭოების ქვეყანას, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას?**

საბჭოების მე-7 ყრილობა. დადგენილება საბჭოთა დემოკრატიზმის ბოლომდე გაშლის შესახებ; დასამუშავებლად დაყენება უკლასო საზოგადოების კონსტიტუციისა, ყველასთვის თანასწორი უფლებებით.

ამხანაგ სტალინის 1935 წ. 4 მაისის ისტორიული სიტყვა ადამიანის ბედნიერებაზე, როგორც სოციალიზმის მიზანზე. „ყველა ძვირფასი კაპიტალიდან, რომელიც მსოფლიოში მოიპოვება, ყველაზე ძვირფას და ყველაზე გადამწყვეტ კაპიტალს ადამიანები, კადრები წარმოადგენენ". **(სტალინი).**

განვითარება ლოზუნგისა „ტექნიკა სწყვეტს ყველაფერს" ლოზუნგამდე — „**ახლა მთავარია ადამიანები, რომლებიც ტექნიკას დაეუფლნენ". „კადრები სწყვეტენ ყველაფერს". (სტალინი).**

მრეწველობის კოლოსალური ზრდა. თუჯის, ფოლადის, მანქანათმშენებლობის, ტრაქტორმშენებლობის მხრივ, სატვირთო მანქანების წარმოების მხრივ ჩვენი საბჭოთა კავშირი გამოვიდა პირველ ადგილზე ევროპის ყველა **სახელმწიფოს შორის.**

შრომის ნაყოფიერების კოლოსალური ზრდა. სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე.

მუშაობის გარდატეხა ქვანახშირის მრეწველობაში. სტახანოვის მეთოდები იჭრება ქვანახშირის მრეწველობაში. ეს მეთოდები გადადის წარმოების სხვა დარგებშიც.

მკვეთრი გარდატეხა ტრანსპორტზე. მისი გამტარუნარიანობის დიდი აღმავლობა. გამოცდილებით გაცამტვერდა მავნებლური „საზღვრის თეორია". რკინის სახალხო კომისრის ამხ. კაგანოვიჩის ხელმძღვანელობის ბრწყინვალე შედეგები.

ის დაჩქარება, რომელსაც ლენინი გვიწინასწარმეტყველებდა, ისეთი დაჩქარება, რომლიზეც წინათ ჩვენ ვერც კი ვიოცნებებდით.

ახალ წარმატებათა და მიღწევათა დაუსრულებელი წყება.

მეტრო, რომლისაც მსოფლიოში ბადალი არ მოიპოვება.

ვოლგა-მოსკოვის არხი.

მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა, რომელიც ჩრდილავს უტოპისტების ყველა უაღრესად გაბედულ ფანტაზიას.

მეცნიერების და ხელოვნების ბრწყინვალე განვითარება.

მთელი სამეცნიერო ქალაქი კოლტუშში აკადემიკოს პავლოვისათვის. მიჩურინის სანერგე, ციოლკოვსკის იდეათა განხორციელება. ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტის მშენებლობა.

მწერალთა ყრილობა.

საბჭოთა კავშირი მეცნიერებისა და ხელოვნების მსოფლიო ცენტრია.

საბჭოთა კავშირი საერთაშორისო კონგრესების ადგილია. ფიზიოლოგთა კონგრესი, ირანის ხელოვნების კონგრესი და გამოფენა. კინოფესტივალები; თეატრალური ფესტივალები.

მშრომელთა კეთილდღეობის უდიდესი აღმავლობა. პურის ბარათების გაუქმება; ცხიმების, შაქრის, ხორცის, თევზის ბარათების გაუქმება. პროდუქტებით სავსე მაღაზიები. ფასების განუხრელი დაკლება. კულტურული საბჭოთა ვაჭრობის განვითარება.

სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების ზრდა. საკოლმეურნეო წყობილების ახალი გამარჯვებანი. პურის დამზადების წლიური გეგმა 10 ოქტომბრისათვის შესრულებულია 101,6 პროცენტით.

მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის შემდეგ უკვე თავს იჩენს სოციალისტური მეცხოველეობის წარმატებანი.

კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდა. მესაკუთრულ ცრურწმენათა სწრაფი დაძლევა სოფლად. უფრო და უფრო მეტი წარმატებანი შეძლებული, კულტურული ცხოვრების გზაზე.

კულტურის ყოველმხრივი განვითარება. არაჩვეულებრივად მზარდი მოთხოვნილება წიგნებზე მუშათა მასაში. პუშკინი, გოგოლი, ლევ ტოლსტოი, შოლოხოვი, ფადეევი, პანფეროვი, ოსტროვსკი კოლმეურნეთა სახლებში, წითელარმიელთა ყაზარმებში.

ზრდა და განვითარება ყველა მიმართულებით!

ჩრდილოეთის საზღაპროდ სწრაფი ათვისება. ავიაციის განვითარება. გაფრენები სტრატოსფეროში. საკოლმეურნეო თვითმფრინავები; პლანერიზმისა და პარაშუტიზმის განვითარება. ფიზკულტურის უდიდესი განვითარება. ასიათასობით მხიარული, ჯანმაგარი, მხნე ახალგაზრდობა, რომელიც ფიზკულტურულ პარადებზე გამოდის უთვალავჯერ განმეორებული ყვირილით.

„მადლობა ამხანაგ სტალინს სახიხარულო, ბედნიერი ცხოვრებისათვის!"

საბჭოების ქვეყანაში ყველაფერი იზრდება, ყველაფერი ფეხზე დგება; ყველაფერი ვითარდება და ყველაფერი მღერის ათას ხმაზე:

— სიცოცხლე მშვენიერია, სიცოცხლე საუცხოოა! სიცოცხლე მდიდარია! წინ—განვითარების უსაზღვრო პერსპექტივები, წინ—სინათლე, ბრძოლისა და ახალ დიად გამარჯვებათა სიხარული და ბედნიერება!

და მშრომელთა ყველა მონაპოვარის სადარაჯოზე მძლე მუშურ-გლეხური **წითელი არმია,** რომელიც თავისი ტექნიკური აღჭურვილობით წარმოადგენს ერთადერთ საუკეთესო არმიას მსოფლიოში, ხოლო ადამიანთა კადრების, მათი მებრძოლი სულისკვეთების მხრივ — პირველ და ერთადერთ არმიას მსოფლიოში.

6) **სინათლე საბჭოების ქვეყნიდან მოედინება.**

ძალიან ცდილობენ გაბატონებული კლასები დაუმალონ მშრომელებს ის, რაც საბჭოთა კავშირში ხდება, ძალიან ცდილობენ დაამახინჯონ, იცრუონ, ცილი დასწამონ სოციალიზმის ქვეყანას, მაგრამ, მშრომელები მაინც ხედავენ სინამდვილეს.

სოციალიზმის საბოლოო და სამუდამო გამარჯვება საბჭოთა კავშირში, კაპიტალიზმის და მხეცური ფაშიზმის საშინელებებთან დაპირისპირებით. ხდება უდიდეს გამარევოლუციურებელ ფაქტორად, რომელიც აღვივებს რევოლუციურ მოძრაობას მთელს მსოფლიოში.

მასები ხედავენ: **ფაშიზმი** — ეს ომია; სოციალიზმი — ეს მშვიდობიანობაა; ფაშიზმი—ეს დაღუპვაა, სიკვდილია; კომუნიზმი — სიცოცხლეა, აყვავებაა.

აქედან — თავის ბელადებისადმი სოციალდემოკრატ მუშათა რწმენის დაცემა, მუშათა კლასის მისწრაფება — მოსპოს მუშათა მოძრაობის გათიშვა, აქედან ლტოლვა მთლიანი პროლეტარული ფრონტისადმი კლასობრივ მჩაგვრელთა წინააღმდეგ საერთო, შეთანხმებული რევოლუციური ბრძოლისათვის.

აქედაა — ანტიფაშისტური და ომის საწინააღმდეგო მოძრაობის ზრდა. ომის საწინააღმდეგო კონგრესი პარიზში 1932 წელს. კულტურის დაცვის კონგრესი 1935 წელს. „სახალხო ფრონტის" გრანდიოზული დემონსტრაცია ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ პარიზში 1935 წლის 14 ივლისს.

კომუნისტური ინტერნაციონალი, მოძმე კომუნისტური პარტიები ხელს სჭიდებენ ამ მოძრაობას, რომლის მიზანია მთლიანი ფრონტის განხორციელება, ფაშიზმისა და ომის გამჩაღებლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, სათავეში უდგებიან და წარმართავენ მას ბოლშევიკური კალაპოტით.

კომინტერნის მე-7 კონგრესი ყველაზე დიდი რევოლუციური მოვლენაა გასული წლის განმავლობაში. კონგრესი ცენტრალურ ამოცანად აცხადებს მთლიანი ფრონტის ტაქტიკის ბოლშევიკურ განხორციელებას. ეს ტაქტიკა **„საფუძველს უქმნის კაპიტალიზმის წინააღმდეგ ყველა მშრომელის ისეთ ფართო მობილიზაციას, როგორიც არასოდეს უყოფილა მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიაში"** (დიმიტროვი).

ეს ტაქტიკა, მშრომელთა ეს მობილიზაცია აჩქარებს რევოლუციური მოძრაობის განვითარებას, ახლოებს მომენტს, როცა მსოფლიოს **ნამდვილი ბატონ - პატრონი**—მუშათა კლასი ხელისუფლებას დაეუფლება.

არა საზოგადოებრივ პარაზიტებს და მუქთახორებს, არამედ „ჩვენ, მუშებს, — გვეკუთვნის მსოფლიო, მუშათა ხელით აგებული მსოფლიო. კაპიტალისტური მსოფლიოს ახლანდელი მმართველნი—ეს დროებით ადამიანებია. პროლეტარიატი — ეს არის მსოფლიოს ნამდვილი, ხვალინდელი ბატონ-პატრონი"! (დიმიტროვი. საბოლოო სიტყვა).

7. **გასულ წელს დიდად გაიზარდა საბჭოების ქვეყანა და ბევრად მოახლოვდა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება.**

და ამ წარმატებებს, ისე როგორც წინანდელი წარმატებებს, მთელი მსოფლიოს მშრომელები უნდა უმადლოდნენ რკინის კომუნისტურ პარტიას, მის ხელმძღვანელობას და მის დიდ, ფოლადის ბელადს ამხანაგ **სტალინს.**

ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი დებულება: ისტორიას ადამიანები ქმნიან, მაშასადამე, მას ქმნიან დიდი ადამიანებიც.

და ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ქმნის ისტორიას ჩვენს თვალწინ მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი,** რომელსაც საბჭოების ქვეყანა და მთელი მსოფლიო პროლეტარიატი უდრეკი სიმტკიცით მიჰყავს დასახული მიზნისაკენ — სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

„მიზნის სიცხადე, სიმტკიცე და შეუპოვრობა მის მიღწევაში, რაც ყველა დაბრკოლებას გადალახავს", —ეს თვისებანი, რომელთა აღზრდასაც ადამიანებში ბოლშევიკური პარტია ცდილობს, უმწვერვალის იდეალად განსახიერა თავის თავში ამ პარტიის ბელადმა, პროლეტარული რევოლუციის დიდმა თეორეტიკოსმა და სტრატეგმა და სოციალიზმის ხუროთმოძღვარმა — ამხანაგმა **სტალინმა.**

წლითიწლობით უფრო და უფრო მეტი სიყვარულითა და უსაზღვრო ერთგულებით ირაზმებიან მუშათა მასები და ყველა მშრომელები საბჭოთა კავშირის ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** გარშემო. უკვე არა მარტო მისი გამოჩენა, არამედ მისი სახელის ერთი ხსენებაც კი იწვევს მსოფლიოს ყველა მშრომელის ოლტაცების მქუხარე გუგუნს, ყიჟინას ყველა ენაზე: „გაუმარჯოს! ივივა! ხაი ლევე! ბანზაი! ვივ სტალინ! ეს ლებე სტალინ!"

გარემოცული მუშათა და ყველა მშრომელთა მილიონიანი მასების მხურვალე სიყვარულით და უსაზღვრო ერთგულებით დიდი ბელადი მტკიცე ნაბიჯებით მიემართება გამარჯვებათა გზაზე და თან მიჰყავს პარტია, მიჰყავს მთელი პროლეტარიატი, სოციალიზმის ქვეყნის ყველა ხალხი. მის უკან კი ტალღებად მოგორავს მშრომელი მასების დაუცხრომელი ყიჟინა — **„გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!".**

8) კარლ მარქსმა კითხვაზე, თუ რა არის ბედნიერება, სთქვა: „ბედნიერება—ეს ბრძოლაა...".

თუ ბრძოლა დასახული მიზნების მიღწევისათვის ბედნიერებაა, მაშინ ბრძოლა კაპიტალიზმის ჩაგვრისაგან, ომის საშინელებისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისათვის **უდიდესი** ბედნიერებაა.

და ეს უდიდესი ბედნიერება **ჩვენს ხელთ არის.**

ჩვენ ამ ბედნიერებით ვსარგებლობთ, ჩვენ მით ვტკბებით. და ჩვენთვის ამ ბედნიერების მომნიჭებელი დიადი პროლეტარული რევოლუციის 18 წლისთავზე შევძახებთ:

გაუმარჯოს ბრძოლას! გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლუციას! გაუმარჯოს მძლავრ კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს დიდ ბელადს სტალინს!

(„სპუტნიკ აგიტატორა" № 14—20).

◆

პრესის მიმოხილვის მაგიერ

ილუსტრაციის შესახებ რაიონულ გაზეთში

გაზეთში ლიტერატურული მასალის მოთავსების გარდა საჭიროა გაზეთის ლამაზად ილუსტრირებაც.

ეს უდაოა, რადგანაც ილუსტრაცია აგიტაციისა და პროპაგანდის მძლავრი საშუალებაა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მიღწევათა ჩვენებისათვის, გამოცდილებათა გაზიარებისა და ნაკლულოვანებათა აღმოფხვრისათვის. ილუსტრაციას გაზეთში ზოგჯერ წერილზე მეტი მნიშვნელობაც აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი რაიონული გაზეთის რედაქტორს მართლაც შეგნებული აქვს ილუსტრაციული გაფორმების მნიშვნელობა, ბევრი მათგანი ამ დარგში იმაზე მეტს აკეთებს, რისი საშუალებაც მოეპოვება.

ჩვენ გადავათვალიერეთ ზოგიერთი რაიონული გაზეთის კომპლექტები და დავრწმუნდით, რომ მაინც ბევრგან არ ესმით, ან არ სურთ გაიგონ ილუსტრაციის მნიშვნელობა. ზოგჯერ ამა თუ იმ ფოტოსურათის მოთავსებით არა თუ ვერ ახებენ გაზეთის შინაარსს, ვერ ხდიან მას უფრო ხელმისაწვდომს თავიანთი მკითხველისათვის და ვერ აყვარებენ გაზეთს, არამედ ხშირად—დათვურ სამსახურს უწევენ მკითხველს და მათ უნდობლობასაც კი იმსახურებენ.

რაიონული გაზეთების უმრავლესობა იყენებს ცენტრალურ გაზეთში უკვე მოთავსებულ კლიშეებს. არ უფარდებს მათ თავისი რაიონის პირობებს და არც მკითხველთა მოთხოვნილებებს ითვალისწინებს.

ავილოთ გორის რაიონული გაზეთი „სტალინელი“ (რედაქტორი ამხ. ი. გაბრიჩიძე) ამ გაზეთმა 6 აპრილის ნომერში მესამე გვერდზე მოათავსა „სოიუზფოტოდან“ (მოსკოვი) მიღებული სურათი, რომელსაც წააწერა: „ლაბორატორია, რომელშიაც სწარმოებს თესლის შემოწმება. საჩვენებელი გარკვევა და შეწამვლა“. სურათს კი ლაბორატორიისა არაფერი ეტყობა, ის მეტროპოლიტენის ვაგონს უფრო გავს.

უნდა ავილოთ მეორე მაგალითი. ამავე გაზეთმა წამოიწყო მნიშვნელოვანი საქმე თანხების შეგროვება გორში სანიმუშო ბიბლიოთეკის ასაგებათ. გაზეთი ხშირათ ათავსებდა გამოწვევებსა და გამოხმაურებას. ამ გამოწვევებთან ერთად ერთხელ მოთავსებული იყო მოსკოვის ერთი დიდი შენობის პროექტი. ალბათ „სტალინელის“ რედაქტორი ფიქრობდა, მკითხველს ეგონება, რომ ასეთი უზარმაზარი შენობა გორში უნდა აიგოს და სიხარულით ისიც შეიტანს თავის წვლილსო, მაგრამ სულ სხვა რამ გამოვიდა, ბევრში ამან გაუგებრობა გამოიწვია, ბევრმა კი გულიანად გაიცინა.

ფოტოსურათების მოთავსებაში გორის გაზეთთან შედარებით უფრო მეტი „ორიგინალობა“ გამოიჩინა და უეცრობისა და მკითხველის აბუჩად აგდების „რეკორდი“ დაამყარა ქედის რაიონულმა გაზეთმა „ბოლშევიკური კოლმეურნეობისათვის“.

ცოტა ვინმე თუ დარჩენილა ისეთი, ვისაც არ ენახოს ჩვენი დროის შესანიშნავი კინოსურათი „ჩაპაევი“. ვის არ ახსოვს სურათის ფინალი—ეს შესანიშნავი მომენტი, როდესაც სურათის გმირი, ლეგენდარული მებრძოლი ჩაპაევი მოწინააღმდეგის ტყვიით დაჭრილი ხელიდან უსხლტება მეგობრებს და წყალში ხტება თავის გადასარჩენად. ქედის გაზეთსაც ხელში ჩავარდნია ამ მომენტის ფოტოსურათი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ სურათისთვის წაუწერია: „ვასაძე და მამციდრია ქარტის თამაშის შემდეგ ჩხუბობენ წაგებულ ფულზე“.(!?) რა არის ეს, თუ არა მკითხველთა აბუჩად აგდება, რას იფიქრებს ის, ვისაც უნახავს „ჩაპაევი“. რა აზრის იქნება მკითხველი ამ გაზეთზე?

დასასრულ უნდა ვუსაყვედუროთ აგრეთვე სიღნაღის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნეს“ (რედაქტორი ამხ. ი. ქოჩუა). „კოლმეურნე“ რომ მუდამ ლამაზადაა ილუსტრირებული, ამაზე არავინ დაობს. მაგრამ საქმე ის არის, რომ იმანაც გამოიჩინა „ორიგინალობა“ და 1918 წელში დაბადებულთა ჯარში გაწვევას თითქოს ფოტოსურათის მოთავსებითაც მოემსახურა; 16 ოქტომბერს მოათავსა ფოტო, რომელზედაც გამოხატულია ორი შუახნის გლეხი და ერთი მილიციელი, რომელიც მათ საჭირო ცნობებს აძლევს. ამ სურათს თავისი შესაფერი წარწერა ქონდა, მაგრამ სიღნაღელმა ამხანაგებმა „კოლმეურნედან“ არ მოიწონეს ეს წარწერა და ასე შეასწორეს: „წვევამდელთა შესაკრებ პუნქტზე პოლიტმუშაკები სისტემატიურად ატარებენ საუბრებს. სურათზე: წვევამდელ კოლმეურნეებს მეთაური (ნამდვილად კი მილიციელი. რედ.) უკითხავს ამხ. ბერიას მოხსენებას „ა.-კ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ეს რომ სიცრუეა და მკითხველის დამცინავ სიცილს გამოიწვევს, ცხადია, მაგრამ საკითხავია, რას ფიქრობდა რედაქტორი, როდესაც შუახნის გლეხებს წვევამდელებს არქმევდა, ხოლო მილიციელს —მეთაურს.

ასეთ დაუდევრობას გაზეთის ილუსტრირების საქმეში ბოლო უნდა მოეღოს.

რედაქტორებმა უნდა შეიგნონ, რომ სურათი ან კარიკატურა გაზეთს არა მარტო ალამაზებს, არამედ ის მასების აღზრდის, სოციალიზმის შეგნებულ მშენებლებად მათი გადაქცევის ერთერთი მძლავრი საშუალებაა.

შეძლებული ცხოვრებისაკენ

ბორჯომი. სოფ. ტბის კოლმეურნეობას, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდა, აქვს 10,5 ჰექტარი მიწა. ამ პატარა ნაკვეთიდან კოლმეურნეობამ მიიღო 280 ფუთი საუკეთესო ხარისხის ხორბალი, 1000 ფუთი სიმინდი და 120 ფ. ლობიო. მოსავლის განაწილების დროს კოლმეურნეებს შრომადღეზე 12 კილოგრამი და 630 გრამი მარცვალი შეხვდათ.

კოლმეურნეობას განსაზოგადოებული პირუტყვისათვის მომარაგებული აქვს საკვების საკმაო რაოდენობა, ახლა შეუდგნენ საერთო ბოსლის აგებას.

ლექსო თედიაშვილი, გიო მესხიძე, გიო, სტეფანე და შალიკო თედიაშვილები — აი კოლმეურნეობის საუკეთესო დამკვრელები, რომლებიც დავალებებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ.

გრ. ლომიძე

ამხ ბერიას სახელობის ვაგონ-სარემონტო ქარხნის მექანიკური საამქროს ხარატი ამხ. თავაძე და მესტეხლე ამხ ჯვარშეიშვილი გადადიან მუშაობის სტახანოვურ მეთოდზე. ორივე გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს 150 პროცენტით და იძლევა ჩინებულ პროდუქციას.

ზემო ალვანის საჯიშე ფერმის ცხვარი გამოფენაზე. სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ — ფერმის ბრიგადირი ლეო შველაშვილი, შუაში— ფერმის გამგე ამხ. იაგა ცაგიკიძე.

მეცხოველეობის მიღწევათა გამოფენა

თელავის რაიონის საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი ენერგიულად იბრძვიან სოციალისტური მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობისათვის.

1932 წლიდან მოკიდებული დღემდე რაიონის მეცხოველეობა დიდად წავიდა წინ.

1932 წელს რაიონში იყო 4 სარძეო - სასაქონლო ფერმა 391 სულით, დღეს კი არის 43 ფერმა 2.122 სულით.

1932 წელს რაიონში იყო მეღორეობის 10 სასაქონლო ფერმა 781 სულით, 1935 წლის პირველ ოქტომბრისათვის იყო 15 ფერმა 3.278 სულით.

1932 წელს იყო მეცხვარეობის 3 ფერმა 643 სულით, დღეისათვის არის 16 ფერმა 18.042 სულით.

პირუტყვის რაოდენობის ზრდასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და ექცევა ჯიშის შერჩევას. თელავის რაიონში ამ მიმართულებითაც ბევრი რამ გაკეთდა. სანიორის კოლმეურნეობასთან შექმნა მეღორეობის საჯიშე ფერმა, რომელიც რესპუბლიკაში ყველაზე მოწინავეა. ეს ფერმა საუკეთესო მაჩვენებლებისათვის შარშან სსრ კავშირის და საქართველოს მიწსახკომებმა დააჯილდოვეს.

სოციალისტური მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში მიღწეულ წარმატებათა სადემონსტრაციოდ 10—11 ოქტომბერს ალავერდში მოეწყო მეცხოველეობის დიდი სარაიონო გამოფენა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რაიონის ყველა კოლმეურნეობამ, სამეურნეო ორგანიზაციამ, საბჭოთა მეურნეობამ.

კოლმეურნეთა მხიარული სიმღერები და დაფა-ზურნა გამოფენაზე მოყვანილი პირუტყვის ხმაურთან ერთად საკოლმეურნეო სოფლის სიხარულისა და გამარჯვების შესანიშნავ სურათსა ქმნიდა.

გამოფენაზე წარმოდგენილ ცხოველებში განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს ინგლისური ჯიშის კერატებმა, დედა-ღორებმა და მოზარდებმა. სანიორის საჯიშე ფერმის კერატი „არსენა“ 265 კილოგრამს იწონის; დედა-ღორი „სარა“, რომელმაც შარშან ერთად მოიგო 18 გოჭი, მაქსიმალურ, სარეკორდო პროდუქტიულობას იძლევა. მისმა შვილმა „სარამ“ მოიგო 11 გოჭი. გოჭების საშუალო წონა უდრის 10 კილოს (თვენახევრის ხნოვანობაში).

ასევე მაღალ მაჩვენებლებს იძლევიან ნაფარეულის ამხ. ცხაკაიას სახელობის, ლაფანყურის კოლმეურნეობა „შრომის დროშის“, მატნის მახარაძის სახელობის, ართანის და სხვა კოლმეურნეობების კერატები და დედა-ღორები.

მეცხოველეობის პავილიონში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა წმინდა თუშური ჯიშის ცხვარი. აქ წარმოდგენილი იყო ზემოალვანის საქ. მიწსახკომის სახელობის საჯიშე ფერმა, რომელიც 1933 წელს დაარსდა. ფერმა ხორცისა და მატყლის გამოსავლიანობის სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევა. ყოჩი № 878, დაბადებული 1933 წელს, იწონის 75,4 კილოგრამს, წლიურად იძლევა 3 კილოგრამ მატყლს. იმავე წელს დაბადებული ყოჩი № 280 იწონის 70 კილოგრამს, და წელს ფერმას 3 კილოგრამი მატყლი მისცა.

განსაცვიფრებელია წლევანდელი წლის ნამატის მაჩვენებლები: მამალი თოხლი № 194 42,3 კილოგრამს იწონის და ერთ გაპარსვაზე 1,1 კილოგრამ მატყლს იძლევა; მამალი თოხლი № 519 იწონის 42,1 კილოგრამს და იძლევა 1,3 კგრ. მატყლს, თოხლი № 224 იწონის 40 კილოგრამს და 1,5 კგრ მატყლს იძლევა.

სოფ. ვარდისუბნის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმიდან გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საუკეთესო ეგზემპლარები. ეს ფერმა ამაყობს პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებლებით. ძროხა „ნათელა“ ლაქტაციის პერიოდში 1.500 ლიტრს იწველის. ამ ფერმაში ახლა წველადობა თვითეულ ძროხაზე საშუალოდ 500 ლიტრს უდრის. შარშანდელთან შედარებით წველადობამ 30—40 პროცენტი იმატა. ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტ ჩიხლაძის ძროხამ, რომელიც წლიურად 2.500 ლიტრ რძეს იძლევა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კამეჩებიც. მეკამეჩეობაში საუკეთესო მაჩვენებლები აქვს სოფ. გულგულის, მატნის, ვარდისუბნის, იყალთოს ყარაჯალის და სხვა კოლმეურნეობებს.

გამოფენაზე გამოყვანილი იყო საქ. მიწსახკომის მეცხენეობის სამმართველოს დოღის ცხენები „მოტორი“, „არგამაკი“ და „ტუტარო“. ამ ცხენებმა დამსწრეებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს. დოღის შემდეგ, რომელიც დღის ორ საათზე გაიმართა, კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა, მეცხენეობის ფერმების გამგეებმა და კოლმეურნეებმა იკისრეს ვალდებულება — 1935-36 წლებში მოახდინონ ძირფესვიანი გარდატეხა მეცხენეობაშიაც, და მოამრავლონ ჯანსაღი, ამტანი, სწრაფი და მძიმეტვირთმზიდავი ცხენები.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე ძაღლები: კავკასიის ნაგაზი. ძაღლების საუკეთესო ეგზემპლარები მოეყვანათ ზემოალვანის, ყარაჯალის, ახმეტის და მატნის კოლმეურნეობებს.

გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 75 კოლმეურნეობამ, 3 საბჭოთა მეურნეობამ და 1.000-ზე მეტმა ინდივიდუალურმა გლეხმა. გამოფენაზე დამსწრეთა რაოდენობა 10.000 კაცს აღემატებოდა.

გამოფენის დამთავრების შემდეგ მოხდა საუკეთესო მაჩვენებლების მქონე კოლმეურნეობათა და მეცხოველეობის აღმავლობისათვის მოწინავე მებრძოლთა დაჯილდოება. მეცხვარეობას მიეცა 12 ჯილდო სულ 1.900 მანეთი, მეძაღლეობას 17 ჯილდო — 1450 მან., მეცხენეობას — 12 ჯილდო—800 მან., მსხვილფეხა რქიანი საქონლის ხაზით — 18 ჯილდო 1500 მანეთის რაოდენობით, მეღორეობას — 11 ჯილდო 1200 მან.

თელავის რაიონში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით სრულდება. როგორც კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა, ისე ერთპიროვნულმა მეურნეობებმა პირუტყვის მოშენებაში მიცემული გეგმის გარდა იკისრეს ვალდებულება ერთიორად გაზარდონ არა მარტო საკოლმეურნეო, არამედ პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვის რაოდენობაც.

ა. კოკილაშვილი

მოწინავე სასოფლო საბჭო

ხულოს რაიონი მეცხოველეობის აღმავლობაში ადიგენის რაიონს ეჯიბრება. ამ სოცშეჯიბრებაში ხულოს რაიონიდან თავი ისახელა **ღორჯომის** სას. საბჭომ (თავმჯდომარე ამხ. შანთაძე), რომელმაც ახალგაზრდა პირუტყვის გამოზრდის სახელმწიფო გეგმა უკვე გადაჭარბებით შეასრულა. — 1735 სულის ნაცვლად 1746 გამოზარდა.

ამ სას. საბჭოში დაგრილების საქმეც კარგად მოაწყეს. გამოჰყვეს პუნქტები, შეიძინეს ჯიშიანი მწარმოებლები. ვადაზე დაგრილებულია 3618 სული პირუტყვი.

საკვების მომარაგებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. ბუნებრივი და ნათესი ბალახი 835 ჰექტარზე დროზე აიღეს და დააბინავეს. დასილოსებულია 10 ტონა ბალახეული, მომარაგებული აქვთ ჩალა, ბზე. საზამთრო საძოვრებისათვის გამოჰყვეს 200 ჰექტარი.

ღორჯომის სას. საბჭოს მეცხოველეობის სექციამ და ზოორწმუნებულებმა დიდი მუშაობა გასწიეს მეცხოველეობაში საუკეთესო მაჩვენებლების მისაღწევად, სოცშეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად.

ე. ჯანაშია.

სტახანოვური მუშაობის მეთოდით

სტახანოვური მუშაობის გადმოსანერგად სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელ ქარხანაში ფართოდ გაიშალა მუშაობა.

ამწყობ საამქროში ყველაზე ჩამორჩენილად გადამკვრელთა სახელოსნო ითვლებოდა. ამ ერთი თვის წინათ მან მიიღო ამხ. კაგანოვიჩის სახელი და იკისრა ახალი ვალდებულებები გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. განმტკიცდა შრომის დისციპლინა და პასუხისმგებლობა საქმისადმი, ყველა ხალისით ასრულებს მიცემულ ავალებას. გამახვილდა ყურადღება შინარესურსების გამოსაყენებლად. სახელოსნომაც თავი დააღწია ჩამორჩენილობას. მასალის დაზოგვისა და შრომის სწორად განაწილების გამო სახელოსნოს ამჟამად თვეში 2.000 მანეთის ეკონომია აქვს.

გადამკვრელთა სახელოსნოში განსაკუთრებით გამოირჩევა ბრიგადირი ამხ. ცაგურაშვილი, რომელიც სტახანოვის მუშაობის გაზეთებში გამოქვეყნების შემდეგ გეგმას გაათკეცებით ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ მის ბრიგადაში 13 კაცის მაგიერ 9 კაცი მუშაობს. ამხ. ცაგურაშვილმა დაიწყო სტახანოვური მუშაობა. იგი წინასწარ იმზადებს მასალას, აწყობს სამუშაო ადგილს, ყოველდღიურ გეგმას ბრიგადის წევრებზე ანაწილებს კვალიფიკაციის მიხედვით, მაგალითად: თუ წინათ ბრიგადა ვერ ასწრებდა ნაწილების დამზადებას შესაკეთებელ ორთქლმავლისათვის, 23 ოქტომბერს ამხ. ცაგურაშვილის ბრიგადას მზად ჰქონდა ექვსი ორთქლმავლის ყველა ნაწილი.

— მე რომ თავის დროზე მასალები მომაწოდონ,— ამბობს ამხ. ცაგურაშვილი, —და სამუშაო დრო არ დამაკარგვინონ მასალის ძებნაში, თვიურად 24-ის მაგიერ 30 ორთქლმავლის ნაწილებს დავამზადებ. ხშირად თავის დროზე არ მაქვს საბუფერო ქიქები და თეფშები, ფარკოფელები, და ჭანჭიკები. ამავე დროს ბრიგადა მოშლილ ვირაგებზე მუშაობს. ამ მიზეზების გამო, დღეში მეკარგება არა ნაკლებ სამი საათისა. ჩამოთვლილ ნაკლს საამქროს ხელმძღვანელობა რომ გამოასწორებდეს,—დასძენს ცაგურაშვილი,— აუცილებლად მეც სტახანოველი გავხდებოდი.

ამხ. კოსტა სალარეიშვილის ბრიგადამ 20 ოქტომბერს ერთის მაგიერ სამი ორთქლმავალის მილები დაამზადა.

სახარატო საამქროში მომუშავე ძმები ამხ. გერასიმე და ნიკოლოზ სტურუები დამკვრელი ხარატებია. თვითეულმა დღეში ნორმით უნდა გაჩარხოს 50 ცალი სარჭი; მაგრამ მათ ისე მოაწყეს მუშაობა, რომ თვითეული ხარატი 100—150 ცალ სარჭს ამზადებს.

სამჭედლო საამქროში ორტონიან ჩაქუჩზე მომუშავე ამხ. დავით ქიქინაძე ცნობილი იზოტოველია. იგი ნაყოფიერ მუშაობისათვის შეტანილია საქ. პროფსაბჭოს და გაზ. „მუშის“ წითელ წიგნში, რომელიც მიძღვნილი იყო პარტიის მე-17 ყრილობისათვის. ქიქინაძემ მიიღო სტალინურ გაწევის დამკვრელის ნიშანი. მან თვეში ნორმით უნდა გამოსჭედოს 20 ტონა რკინა, ფაქტიურად სჭედს 25—32 ტონას. განა ამხ. ქიქინაძე სტახანოველი არ არის? მაგრამ მას შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის საქმეში ხელს ის უშლის, რომ ორთქლის ჩაქუჩი მოშლილ — გაცვეთილია და ზედმეტ დროს აკარგვინებს პროდუქციის დამზადებაში.

ჩამომსხმელ საამქროშიც არიან დამკვრელები, რომლებსაც შეუძლიათ სტახანოველობა დაიჩემონ, მაგრამ თავის დროზე და საკმაო რაოდენობით არ აწვდიან გამდნარ ლითონს. გამზადებული ყალიბები მთელი დღეობით ელოდება გამდნარ ლითონს. მაგალითად, 22 ოქტომბერს ამხ. ჩიტიძეს უნდა ჩამოესხა ხელნის საკისურები ერთი ორთქლმავლისათვის. მას სამყოფი გამდნარი თითბერი მიაწოდეს და ამხ. ჩიტიძემ თავისუფლად ჩამოასხა და დაამზადა საკისურები ორი ორთქლმავლისათვის.

მართალია, ქარხანაში ჩაატარეს ორგანიზაციული მუშაობა სტახანოვური მუშაობის შესახებ, მაგრამ ახლა საჭიროა თვითეულ საამქროში გამოიყოს მოწინავე დამკვრელთა თითო ბრიგადა მაინც, რომლებიც უნდა უზრუნველვყოთ საჭირო მასალითა და იარაღ-ხელსაწყოთი. ამ საქმეს განსაკუთრებით ხელი უნდა მოჰკიდონ საამქროების სამეურნეო მუშაკებმა.

დ. ჯღარკავა.

ვინ აგვიანებს ხელფასს

(რედაქციაში შემოსულ წერილების მიმოხილვა)

საქ. სახკომსაბჭოს მიმდინარე წლის 21 აპრილის დადგენილება გადაჭრით მოითხოვს მასობრივი სკოლების მასწავლებლებისა და სხვა მუშაკებისათვის ხელფასის თავის დროზე მიცემას. ამავე დადგენილებით არდადეგების დროის ხელფასი მასწავლებლებს წინასწარ უნდა მიეცეს. მაგრამ ზოგი ჩვენი უხეირო მუშაკის უთავბოლო „მუშაობის“ გამო, ეს დადგენილება ცხოვრებაში არ ტარდება.

რედაქციას მოსდის მრავალი წერილი, რომლებითაც ირკვევა, რომ მთელ რიგ რაიონებში ეს დადგენილება არ სრულდება. მაგალითად, ჯუღელის რაიონიდან ამხ. ვ. მიქაბერიძე და ნ. შველიძე გვწერენ, რომ **„ჯუღელის რაიონში მასწავლებლებს შვებულების დროის ხელფასი დღესაც არ მიუღიათ. არცერთ სოფლის მასწავლებელს მიღებული არ აქვს აგვისტოს და სექტემბრის ხელფასი, საბავშვო ბაღის მასწავლებლებს კი ივლისის ხელფასიც არ მიუღიათ“.**

რით უნდა აეხსნათ ამ სავალდებულო დადგენილების ჩაშლა ჯუღელის რაიონში, თუ არა რაიონული საფინანსო ორგანოების უთაური მუშაობით? აკი მრავალ რაიონში უმტკივნეულოდ შესძლეს მასწავლებელთა ხელფასის დროულად დარიგება!

ჯუღელის რაიონს ყვარელიც უმშვენებს გვერდს: შილდის საბავშვო ბაღის მასწავლებლებს და დარაჯს 6 თვის ხელფასი არა აქვთ მიღებული. ამხ. ქ. შათირიშვილი და ბ. მირიანაშვილი გვწერენ: **„პირველი აპრილიდან ხელფასი არ მიგვიღია, სოფლის საბჭო ჩვენს მიმართვაზე უარს გვეუბნება — საამისო თანხები არა გვაქვსო“.** ამავე დროს შილდის სოფლის საბჭოს მესვეურთა საკუთარი თავი არ ავიწყდებათ, ხელფასს ყოველთვის დროულად ღებულობენ, სათანადო თანხებიც მოეპოვებათ. ყვარლის რაიამსკომი და განათლების განყოფილება გულდამშვიდებით შესცქერიან ამას, თითქოს მათ არაფერი ეხებოდეთ. შილდაში ძირეულ კულტმუშაკებს საერთოდ ბედი „არ სწყალობთ“.

ამას გვწერს შილდის ქოხ-სამკითხველოს გამგე ნინო კოკონაშვილი: **„ვმუშაობ ქოხ-სამკითხველოს გამგედ და თვეში მაქვს 110 მან. პირველი აპრილიდან ხელფასი არ მიმიღია, ყოველთვის უარით მისტუმრებენ — თუნდაც განკარგულება მოახდინონ თქვენთვის ხელფასის მოცემაზე, მაინც არ მოგცემთ, ვინაიდან საამისო თანხები არა გვაქვსო, ასე მეუბნება ფინმომუშავე ლ. ბეჟიტაშვილი“.**

შილდის სოფ. საბჭოს და ყვარლის რაიამსკომს როგორ შემოლევიათ თანხები! მერე მაინცდამაინც ის თანხები, რაც საბავშვო ბაღის მასწავლებლებისა და ქოხ-სამკითხველოს გამგეს უნდა მისცემოდა.

სიღნაღის რაიონის ხელმძღვანელნიც ვერ დაიკვეხებენ მოჭრილ მუშაობას. საქ. კპ (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს 4 მარტის დადგენილებით მედიცინის მუშაკებს ხელფასი მოემატათ. სიღნაღის რაიონის მედმუშაკებს ამ მომატებით მიკუთვნებული განსხვავება პირველი მარტიდან დღემდე (7 თვის) ჯერაც არ მიუღიათ. აგრეთვე არ მიუღიათ აგვისტოს და სექტემბრის ხელფასი. ამ დავალიანების დასაფარავად განსახკომმა სიღნაღის რაიფინგანს 66.000 მან. გადმორიცხა. როგორც ამხ. ი. კოკილაშვილი გვწერს, **„ფინგანის გამგე ა. ნაკაიძემ ეს თანხები სხვა საქმეებზე გამოიყენა და ამით პედპერსონალი 8 თვის ხელფასის მიუღებლად დასტოვა რაიონს ფული არა აქვს. ცენტრი არავითარ დოტაციას არ გვაძლევს და მე საიდან გავცემო — მოგვიგებს ჩვენს შეკითხვაზე“.**

როგორც ვხედავთ, აქ არა მარტო უხეირო მუშაობაა, არამედ თაღლითობაც. საჭიროა გადავაჩვიოთ ნაკაიძისთანა ფინმუშაკები სოფლის განათლების, მედიცინის და სხვა მუშაკთა ხელფასის თანხების თვითნებურად გამოყენებას. ეს საქმე პროკურატურის ორგანოების ჩაურევლად არ გაკეთდება.

ლადო ჯაფარი

ჩარგალში

ფშავ-ხევსურეთისაკენ მივდივართ ვაჟა-ფშაველას სოფელს ჩარგალში. დუშეთიდან ავტობუსით ჩვენთან ერთად რამდენიმე ხევსური და ფშაველი მოდის. თან სავსე ხურჯინები და ცალიერი ერბოს კასრები მოაქვთ. ისინი ერთი-მეორეზე უფრო ვაჟკაცური გარეგნობისა არიან, მაღლები, მხარბეჭიანნი, მზით გარუჯული სახეებით, გრძელი და ფართო „ხანჯლებით“ და ყაწინსებური მათარებით. თითქო იგივ ვაჟას გმირები ისხდნენ ჩვენს გვერდით.

გავიარეთ ანანური, შემდეგ—ჟინვანი, არაგვის პირად ამართული ძველებური ციხეთ და შევჩერდით მაღაროსკარში.

მაღაროსკარი ახლა ამ კუთხის ნამდვილი კულტურული ცენტრია. აქ მოთავსებულია საავადმყოფო, აფთიაქი, სკოლა, ფოსტა, კოოპერატივი. აქ არის სოფლის საბჭო, რომელშიაც შედის ვაჟას სოფელი ჩარგალიც. ჩარგალამდე აქედან თორმეტიოდე კილომეტრია.

ახალი გზის მშენებლობა ახლაც განუწყვეტლივ სწარმოებს. ისმის ნაღმის აფეთქების ხმა და მოგლეჯილი კლდეების გრიალი. გზა დღითიდღე კიდევ უფრო ფართოვდება და სწორდება.

ორიოდე ძველი ბოგირი, რომელიც წინათ ხიდის როლს ასრულებდა, აქა-იქ არაგვზე ახლაც შერჩენილია წარსული დროის შეუმჩნეველი ძეგლივით.

უკვე გამოჩნდა არაგვის შენაკადის ჩარგლულას ხეობა. ჩარგლისაკენ გზა აქედან იწყება. ამ ადგილს ჩარგლისკარი ეწოდება.

მოჩანს გრძელი, ვიწრო ხეობა, ხშირი, ფოთლოვანი ტყეებით შემოსილი მაღალი ფერდობებით. აქედან ჩარგლამდე სულ რაღაც ოთხიოდე კილომეტრია.

ეს არის ვაჟას მშობელი კუთხე!

ხოლო ჩარგლულას, როგორც ჩანს, გვარიანი მოდიდება სცოდნია. თითქმის მთელი ეს ველი დაფარულია რიყით. სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ ეს ადგილი ისეთი ხშირი ტყით იყო თურმე შემოსილი, რომ ჩარგლულა ძლივს აგნებდა გზას არაგვისაკენ.

ჩარგლისკარზე, არაგვს გაღმა, ტყეში, არის მჟავე წყალი, „ვეძა“, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი დაიარებიან სასმელად და აბაზანების მისაღებად. გზიდაც მოჩანს მჟავეწყლის ადგილი, აქ რამდენიმე ურემია და კარავი. შორიახლოს ცეცხლიც გიზგიზებს.

ეს ადგილი და კერძოდ მჟავე წყალი დაკავშირებულია ვაჟას სახელთან. ვაჟას დროს ამ მჟავე წყალს, რომელიც ე. წ. „სახაზინო ტყეში“ იმყოფებოდა, დამპატრონებოდა ერთერთი მაშინდელი ტყისმცველთაგანი—„აბეზარი“ ყორნაული, რომელსაც აქ პატარა სადგომიც აეგო და მოსულ ავადმყოფებს წყალში ფულს ახდევინებდა, მაგრამ ვაჟას, რამდენიმე მეზობლის თანხლებით, ეს სადგომი დაუნგრევია თურმე.

— წყალშიც დაიწყეთ ფულის გადახდევინებაო?

ჩარგალში რომ ავედით, უკვე ბნელოდა და ვაჟას სახლის მისაგნებად შეწუხება დაგვჭირდა პირველივე შეხვედრილი მოსახლისა, რომელიც თავაზიანად წაგვიძღვა წინ „რაზიკაანთ სახლისაკენ“.

შევდივართ პატარა, დავაკებულ ეზოში. ფეხქვეშ უკვე სქელი ბალახით დაფარულს რბილ მიწას ვგრძნობ.

ეზოში ვარჩევთ პატარა და კოხტა ქვის შენობას, საიდანაც ოდნავი სინათლე მობჟუტავს. ჩანს, მასპინძელს ჯერ კიდევ არ სძინავს.

ესაა ვაჟას კარმიდამო! ფშავი! ჩარგალი! ასე ნაცნობი და ასე ახლობელი ყოველი ჩვენგანისათვის, ასე ძვირფასი და საყვარელი ვაჟას ბიოგრაფიიდან და მისი ნაწერებიდან.

შავ ტანისამოსში გამოწყობილმა მაღალი ტანის ქალმა კარი გააღო და შინ შეგვიპატიჟა.

ვაჟას ცოლი—თამარი აღმოჩნდა.

თამარი უკვე ხანში შესული ქალია. მისი სიტყვით, „სამოცზე მეტისა იქნება“. ის ვაჟას მეორე ცოლია, სოფელ ხორხიდან „მოტაცებული“.

— ლუკას მე მანამდე არ ვიცნობდი—გვიამბობს თამარი. „ვაჟა-ფშაველას“ წიგნი კი მქონდა სახლში და ვკითხულობდი, მაგრამ თუ რომელი იყო ფშაველა, არ ვიცოდი. მერე გავიგე „ვაჟა ფშაველაიო, ლუკა რაზიკაშვილი რომაა ჩარგლიდან,—ისაო“.

თამარი მაღალი ტანის ქალია, თხელი, როგორც თუშის ქალების უმრავლესობა, მაღალი ცხვირით, შავი თვალწარბით. აცვია ფშავურად შავი განიერი ნაოჭიანი ტანისამოსი და შავივე თავსაფარი. სახლში, როდესაც მისი ვაჟი ვახტანგი შინ არაა ხოლმე, სულ მარტოა და სოფლურ მეოჯახეობას ეწევა.

— წყალიც ვერ მოვიტანე ჯერ, დედაშვილობას, ერთი ძროხა მყავს, დავკარგე და იმის ძებნაში სულ შემოვიარე აქაურობა. ძლივ ვიპოვე. და თამარმა იქვე მდგარი დიდი სპილენძის „თუნგი“ მხარზე აიგდო და იმ უკუნეთ ღამეში ხევისაკენ წყალზე წავიდა.

დილით გათენებისას უკვე ფეხზე ვართ და კარმიდამოს ვეცნობით.

ვაჟას მწვანე ეზოში მრავლადაა ვაშლი, წაბლი, ღიღლიში, ზღმარტლი, რომელსაც ადგილობრივ „ხუტკურას“ უწოდებენ, შინდი და უმთავრესად, კაკალი. ამ ხეხილის უმრავლესობა ვაჟას დარგულია, ან ნამყენი.

ვაჟას სახლი შესდგება სულ ორი ოთახისაგან. ასე ყოფილა ვაჟას დროსაც, ოღონდ მაშინ ამ სახლს პატარა აივანი ჰქონია წინ.

ახლა ეს აივანი მოხსნილია. გარდა ამისა, ერთი ამ სახლის ოთახთაგანი—სასტუმრო—უფრო გადიდებულია, განზე გაწეული და სიმაღლე მომატებული. სახლის დანარჩენი ნაწილი დარჩენილია ისევ ძველებურად, როგორც იყო ვაჟას დროს. დახურულია კრამიტით. ეს ქვის სახლი აუშენებია—ვაჟას მამას პავლეს, ვაჟას ჭაბუკობის დროს. მანამდე კი აქაც ბანიანი მიწური ჰქონიათ, როგორც საზოგადოდ მაშინ მიღებული იყო მთაში.

ძველს ოთახს, რომელიც ზომით თორმეტიოდე მეტრი იქნება, თამარი „ლუკას ოთახს“ უწოდებს, რადგან ვაჟას სამუშაო ოთახი და საწოლი ესა ყოფილა. ოთახს ეზოსაკენ ორი პატარა ფანჯარა აქვს. იატაკი მიწისაა, ისე როგორც მეორე ოთახში. ერთს კუთხეში ბუხარია, რომელიც თურმე განსაკუთრებით უყვარდა ვაჟას. კედლები შიგნით შელესილია კირით.

ვაჟას ავეჯეულობიდან აქ მოთავსებულია რკინის საწოლი, საწერი მაგიდა, რომელიც სრულიად უბრალოდაა გაკეთებული „ცულით გათლილი“ მასალისაგან და ორი მტკაველი საუჯრეთი, პატარა და დაბალი (მეტრის სიმაღლე) კარადა ჯამფი, რომელიც იმავე პრიმიტიული ოსტატობითაა ნაკეთები, როგორც მაგიდა. იქ ვაჟა თავის ნაწერებსა და წიგნებს ინახავდა. ბუხარზე, „ფიტონზე“ იქით-აქეთ დგას თუნუქის ორი ჭრაქი და კუთხეში აყუდია თოფი, რომლითაც ვაჟა სანადიროდ დაიარებოდა. მაგიდაზე დგას უკვე „დაინვალიდებული“ მაღვიძებელი საათი, რომელსაც მშვენიერი საკრავი ჰქონოდა. კედელზე, მაგიდის თავზე მკიდია ვაჟას ნანადირევი ირმის რქები და აგრეთვე ყანწები. ირმის რქებს შუა, კედელზე ვაჟას აქ ეკიდა თურმე თავისი დიდი სურათი, წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გამოცემული. აქვეა შენახული ვაჟას სამუშაო იარაღი, ნამგალი, ხერხი და სხვ. აქვე დაკიდებული ჰქონდა ვაჟას ცნობილი სურათი „ქართველ მწერალთა ჯგუფისა“.

ასეთი ყოფილა ვაჟას სამუშაო ოთახი.

წერა ვაჟას უმთავრესად ბუხრის აგუზგუზებული ცეცხლის წინ, სრულ სიჩუმეში უყვარდა თურმე. ამიტომ ლექსებს უფრო ღამე სწერდა, როდესაც ჯალაბს ეძინა და მგოსანი მხოლოდ თავის საკუთარ „მე“-სთან და თავისი შემოქმედების სახეებთან იყო დარჩენილი.

— როდესაც სწერდა, არ უყვარდა, თუ ფეხიშლობდით— გვიამბობს თამარი, დაიძინეთო, გვეტყოდა. ხშირად ღამეც წამოიჭრებოდა ლოგინზე, გამაღვიძებდა, მომატანინებდა საწერ-კალამს და ასე იჯდა ხოლმე ლექსების წერაში გათენებამდე.

და გათენდებოდა თუ არა, მხარზე ნაბადს მოიგდებდა და მიდიოდა სადმე ტყეში, სათიბში, ყანაში, ან მთაში—სანადიროდ, შეიძლება, ბუნებასთან სალაპარაკოდაც!

— ვუსაყვედურებდი ხოლმე,—გვიამბობს თამარი,— რა არი, სულ რაღაცას სწერ და სილარიბის წილად კი არ გვადგია ხეთქი. გაეღიმებოდა. მერე აიღებდა რვეულს და წამიკითხავდა თავის ნაწერს. მაგრამ მე რამესმის, შვილო, ერთი უსწავლელი ქალი ვარ.

— ძალიან უყვარდა თავისი ლექსების ფანდურზე დამღერება. კარგი ფანდურიც ჰქონდა, მაგრამ დამიმტვრიეს ხელიდან ხელში ტარებით,—სწუხს თამარი.—სტუმარი უყვარდა და ამიტომ ღვინოს არ გამოილევდა. არ იცოდა კი სიმთვრალე. რიგზე სვამდა.

თავისი სოფლიდან ვაჟა ძვირად თუ წავიდოდა დიდი ხნით,—როგორც ამბობს თამარი,—უმთავრესად ზამთარს თუ გაემგზავრებოდა ხოლმე ან დუშეთს, ან თიანეთს, ან ტფილისს. კახეთშიც იცოდა გასვლა, აქ ქალიშვილი ჰყოლია გათხოვილი და გარდა ამისა, ნადირობასაც ეწეოდა იქით.

ტფილისში წასვლისას თავის ნაწერებს ხურჯინში ჩააწყობდა, მოახტებოდა ცხენს და გაუდგებოდა ჯერ კიდევ ღამიანად მაშინდელ ვიწრო ბილიკებს. დუშეთამდე ცხენით მიდიოდა, ხოლო იქიდან „ლინეიკას“ დაუჯდებოდა ტფილისამდე. ცხენს კი სახლისაკენ გამოაბრუნებდა რომელიმე მეზობლის ხელით.

ამ სავსე ხურჯინებით ვაჟა ტფილისში რომელიმე მაშინდელი ჟურნალისა თუ გაზეთის რედაქციაში შეაბიჯებდა თავისი მთიულური იერით.

ის აქ ყველასათვის ძვირფასი და სანატრელი სტუმარი იყო. მაგრამ დიდხანს მაინც ვერ სძლებდა (საცხოვრებლად ჩერდებოდა თავის ძმა სანდროსთან ვერაზე, მელიქის ქუჩაზე), მისი სული ისევ ფშავის ხევისაკენ მიიწევდა.

ისევ ფშავის ხევს ვენაცვალე,
გულკეთილს, თავაზიანსა,
მის მთებს, მორთულებს ბალახით,
ძირს—ქალებს, გორ-გორს ტყიანსა,
ველებს, მოხდენით დაქარგულს,
მის არემარეს წყლიანსა...

○

წამოსვლის წინ ვაჟას ყოფილი ნივთებიდან რამდენიმეს ვათვალიერებთ მუზეუმისათვის შესაძენად, მაგრამ თამარს ერიდება:

— რა ვქნა, ე ძველმანები რომ გინდათ წაიღოთ ქალაქში, სირცხვილია, რას იტყვიან...

ჩვენს მხატვარს აკვარელით დაუხატავს ვაჟას ოთახი თავისი ბუხრით, საწერი მაგიდით, კარადითა და სხვა ნივთებით.

ვაჟა, თამარის სიტყვით, ხშირად გამოსთქვამდა ხოლმე სურვილს დამარხულიყო თავის მშობელ კუთხეში, თავის საყვარელ ადგილში.

ჩემს ადგილს მიმაბარეთა,
გზა-გზა ქორდულად მავლიეთ,
ნაბადი წამაფარეთა,
ჩემთ პაპა-პაპათ გვერდითა
სამარე გამითხარეთა.

რათა თავს დაჰყურებდეს ფშავის ბუნება და „დახჯერდეს დიუელისგორი, ინოს მთა ქიუხიანი“.

მაგრამ საუბარში ისეთ აზრს გამოსთქვამდა ხოლმე, რომ მას „აქ არ დასტოვებენ და ტფილისში წაიღებენ“. ეს პოეტს მტკიცედ სწამდა თურმე.

და ვაჟა მართლაც ტფილისში, საქართველოს გულში იქნა სამუდამოდ დასვენებული!

ასეც შემშვენის მას!

ხომ შესტრფოდა ის საქართველოს უკეთეს მომავალს. ხომ არ ზოგავდა ძალღონეს, ოღონდ საქართველოს ეცოცხლა:

მე არ დავზოგავ ძალღონეს,
ჩალად არ ვაგდებ სიცოცხლეს!
რა არი ჩემი სიკვდილი,
თუ საქართველო იცოცხლებს!

და ვაჟა გრძნობდა პოეტური ინტუიციით, რომ იმპერიალისტებისაგან ატეხილი ომის ქარიშხალი ბოლოს მოუღებდა ყოველგვარ ჩაგვრას. ის ხედავდა შემოქმედის ხილვით უკეთესი დროის სიახლოვეს.

დღეს ეს დრო რეალურია ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და საბჭოთა საქართველო უკვე ბრწყინავს „შემკობილი აზრითა და გრძნობით“.

შემკობილს აზრით და გრძნობით
მეც თან გახლდები დაფითა.

ვაჟას უკვდავი სახელი თავისი შემოქმედებით, დიდი მხატვრული სახეებით მართლაც თან ახლავს „შემკობილს აზრით და გრძნობით“ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს!

◆

მეცნიერება სოციალიზმის სამსახურში

ალუმინის მიღების ახალი მეთოდი

ამ ორი წლის წინათ ტფილისში შესდგა სპეციალისტების კონფერენცია საქართველოში ალუმინის მრეწველობის ჩანერგვის შესახებ. ალუმინის მრეწველობის გასაშლელად ორი წინაპირობაა საჭირო—იაფი ელექტროენერგია და თიხამიწის, ანუ ალუმინჟანგის, როგორც ალუმინის ლითონის მისაღებად აუცილებელი ნახევარფაბრიკატის, ჭარბი მარაგი. ამ კონფერენციაზე სპეციალისტებმა დაადასტურეს, რომ ალუმინის მისაღებ საუცხოო ნედლეულს წარმოადგენს ტყიბულის ქვანახშირის ფიქალი, რომელიც დაწვის შემდეგ იძლევა ნაცარს, ხოლო შემდეგ ამ ნაცრიდან შესაძლებელია ალუმინჟანგის მიღება.

მთავარი საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, თუ რა მეთოდით უნდა ხდებოდეს ფიქალიდან ალუმინჟანგის მიღება. ამ მეთოდის გამოსანახავად მუშაობდა სპეციალურ დავალებათა სამეცნიერო ინსტიტუტი (მოსკოვი) **პროფ. ლუკაშოვის** ხელმძღვანელობით.

შარშან ალუმინჟანგის მისაღები ახალი რაციონალური მეთოდის გამოსანახავად მუშაობდნენ სამეცნიერო აკადემიის ტფილისის ქიმიური ინსტიტუტის სპეციალისტები სწავლულ სპეციალისტის **გ. კუპერმანის** ხელმძღვანელობით, ინჟ. **ა. ლეგრანის** და ქიმიკოს **შუშანა ნადარეიშვილის** მონაწილეობით.

ტფილისის ქიმიური ინსტიტუტის დასახელებულმა სპეციალისტებმა გამონახეს ალუმინჟანგის (მაშასადამე ალუმინის ლითონისაც) მიღების სრულიად ახალი, უფრო რაციონალური მეთოდი. ამ მეთოდის მიხედვით ქვანახშირის ფიქალი, რომელიც ქვანახშირის ამოღების დროს ფუჭად იყრება, გამოყენებული უნდა იქნეს საწვავ მასალად თბოელექტროსადგურზე. როგორც უფასო საწვავი მასალა, მისგან მიღებული ელექტროენერგიაც ძალზე იაფი იქნება. ელექტროსადგურის ღუმელებში ფიქალის გამოწვის შედეგად დარჩენილი ნაცარი, ე. წ. შეცხობის საშუალებით გამოყენებული იქნება, როგორც ალუმინის წარმოებისათვის საჭირო ნედლეული, ხოლო ელექტროსადგურის ენერგიას კი გამოიყენებენ ალუმინის მისაღებად საჭირო ელექტროლიზური პროცესების ჩასატარებლად.

მომავალი წლიდან ტფილისში ეწყობა ალუმინისგამომმუშავებელი საცდელი ქარხანა, რისთვისაც გათვალისწინებულია 600.000 მანეთის დახარჯვა. ამ ქარხანაში შემოწმებული იქნება, როგორც მოსკოვის სპეცდავალებათა ინსტიტუტის მიერ ალუმინის მისაღებად შემუშავებული მეთოდი, ისე ტფილისის ქიმიური ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მეთოდი.

ჩვენ გვწერენ

გაფლანგვის რეკორდები არტელ „რეკორდში“

არტელი „რეკორდი“ კოოპინკავშირის სისტემაში შედის. მას აქვს სამი საწარმო: კონსერვის, ყავის, და ხალვა კამფეტის. ამ საწარმოებში 200-მდე ინვალიდი მუშაობს.

ამ არტელის ყოფილმა ხელმძღვანელებმა ხონელიძემ და გიორგაძემ (ორივე კომუნისტია) ორიოდე წლის განმავლობაში 240 ათასი მანეთი გაფლანგეს. მაგრამ ორივე იმდენად დახელოვნებული კომბინატორი იყო, რომ სასჯელის ნაცვლად ჯილდოს ღებულობდნენ. ამბობდნენ: ხონელიძეს კოოპინკავშირში კარგი მფარველი ჰყავსო. მართლაც, არც ხონელიძე და არც გიორგაძე არ დაუსჯიათ. პირიქით, ორივე გადაიყვანეს სხვა არტელში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

1934 წ. „რეკორდის“ გამგეობის თავმჯდომარედ დანიშნეს მათე ხუჭუა. მან დიდი რიხით დაიწყო მუშაობა. მაგრამ როცა არტელის აწეწილ-დაწეწილ ფინანსიურ მდგომარეობას წააწყდა, გადაწყვიტა ამღვრეულ წყალში თევზი დაეჭირა.

მან ბუხჰალტრად მოიწვია სამოქალაქო და სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში რამდენჯერმე მიცემული ბეროზაშვილი. ამ ბუხჰალტერს მიანდო ხონელიძის შედგენილი გაბერილი ბალანსის დაზუსტება. ფინსახკომმა თუმცა დაიწუნა ბეროზაშვილის ბალანსი, მაგრამ ხუჭუამ მას მაინც გამოუწერა 3000 მანეთი გასამრჯელო ამისთვის. ამ თანხიდან ხუჭუამ 1000 მანეთი ირგუნა.

ხუჭუამ ტექნიკურ ხელმძღვანელებად დანიშნა ყოფილი მეკარხნეები აზიზოვი და გარსანოვსკი. პირველმა გაფლანგა 40.000 მან., მეორემ—9.000 მან.

ხუჭუას ჯერაც არ ჩაუბარებია ანგარიშები ძველი ხელმძღვანელობისაგან და არ გამოუყვანია 1934—35 წლ. ბალანსები. ანგარიშწარმოება ისეა არეული, რომ კაცმა არ იცის ვინ უნდა აგოს პასუხი იმ 14 ათასი მანეთისათვის, რომელიც საწყობის გამგე კოსტანიანს დააკლდა. გამგეობის თავმჯდომარემ სამუშაოსაგან გაანთავისუფლა (საკუთარი თხოვნისა) მოლარე ურუშაძე, რომელსაც 8182 მან. ჰქონდა გაფლანგული. ხუჭუამ ინვალიდთა საერთო კრებას გამოატანინა დადგენილება არტელის სასარგებლოდ ერთი თვის ხელფასის გადადების შესახებ.

ბოლოს და ბოლოს, არტელი „რეკორდი“ უმწეო სამეურნეო მდგომარეობაში ჩავარდა და არც არაფერი ეშველება, თუ მას მსხვილი და წვრილი კომბინატორები არ მოაშორეს.

იკაური.

გაკეთებულიც ინგრევა

მარტვილში კულტურული აღმშენებლობა გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობდა. ძველებური ქოხმახის ნაცვლად აღმართეს ორსართულიანი საბჭოთა შენობები.

მაგრამ ეს ერთი წელია, რაც სრულიად შეჩერდა აღმშენებლობა და დაწყებული შენობებიც უპატრონოდ არის მიტოვებული. მაგ. პედტექნიკუმის ორსართულიანი ქვის შენობა, რომელზედაც დახარჯულია რამდენიმე ათეული ათასი, მიტოვებულია და არავინ არ ფიქრობს მის დამთავრებას. მარტვილში სკოლის ფართობის დიდი სივიწროვეა, (სკოლებისათვის სულ ორი ხის სახლია, რომელშიაც მოთავსებულია პედტექნიკუმი, აგროტექნიკუმი, სრული საშუალო სკოლა, მოზრდილთა ათწლედი და სხვადასხვა კურსები).

დაწყებულ რაიაღმასკომის დიდ ქვის შენობის კედლებზე ... ამოსულია სხვადასხვა მცენარე და ლორების ბუნაგად არის გადაქცეული, გადაყრილი ფულებიო, ამბობენ გამვლელ-გამომვლელები.

ასეთივე მდგომარეობაშია სოფ. საბჭოს აგურის შენობა, აბანო და სხვ., რომლის მოთავებაზე საკმაოდ არა ზრუნავენ. მდინარე აბაშის ხიდი ჩანგრეულია. მოსახლეობა ამის გამო დიდ დაბრკოლებას განიცდის.

ამგვარად, რაც გაკეთებულია, ისიც ინგრევა. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს.

მ. ბერულავა

ჩვენი სიგნალის შემდეგ

„ჩამგლეჯელები და ყალთაბანდები კოლმეურნეობის სათავეში“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 20 ოქტომბრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი, რომელიც შეეხებოდა სოფ. ქვედაგოშხას კოლმეურნეობაში საზოგადოებრივ საკუთრების მტაცებლობას. აღნიშნული წერილი მთლიანად დადასტურდა. ამასთან დაკავშირებით კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხამსონ კიკაბიძე და პარტორგანიზატორი პავლე კიკაბიძე გარიცხეს პარტიიდან და სამართალში მისცეს.

„კომუნისტის“ ზემოხსენებულმა სიგნალმა დიდი დახმარება გაგვიწია და საშუალება მოგვცა გამოგვემჟღავნებინა სოციალისტური საკუთრების განიავების ფაქტები არა მარტო ქვედა გოშხას, არამედ ამბროლაურის რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებშიც.

საქ. კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის მდივანი გ. ჟელიძე

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

„ფასების პოლიტიკას ამახინჯებენ“

2 ივლისს რედაქციამ მიიღო წერილი სათაურით „ფასების პოლიტიკას ამახინჯებენ“, რომელიც შეეხებოდა სუფსის (ლანჩხუთის რაიონი) რაიმაღაზიის ინსტრუქტორ კუპრაძეს და გამყიდველ ადეიშვილს, რომელთაც ბრალად ედებოდათ ფასების საბჭოთა პოლიტიკის დამახინჯება.

ლანჩხუთის რაიპროკურორი ამხ. გრ. ფირცხალაიშვილი, რომელსაც ეს წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გაეგზავნა, გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ინსტრუქტორი კუპრაძე და გამყიდველი ადეიშვილი მიცემული არიან პასუხისგებაში.

„შეუფერებელი ინსტრუქტორი“

რედაქციაში ამ სათაურით მიღებული წერილის ავტორი აღნიშნავდა, რომ ლანჩხუთის რაიგანათლების განყოფილების ინსტრუქტორი თინა ღლონტი არ შეეფერება თანამდებობას. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოფნის დროს იგი ერთ მარათების სპეკულაციისათვის პარტორგანიზაციამ გარიცხა პარტიის რიგებიდან.

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მდივანი ამხ. გრ. [illegible] გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა, [illegible] განყოფილებას დაევალა თინა ღლონტის შეცვლა უფრო [illegible], საქმისმცოდნე პირით.

პატარა ფელეტონი

შეგვიბრალეთ საქმეთამმართველებო!

ჩვენ, რედაქციის მუშაკები რომ ვართ, შევეჩვიეთ ერთ ამბავს: მეტი წილი უწყებების ხელმძღვანელთა ბრძანების ან საუწყებო ხასიათის მასალა, რომელიც რედაქციაში იგზავნება გამოსაქვეყნებლად, უსათუოდ თან უნდა ახლდეს საქმეთა მმართველის ზოგჯერ კატეგორიული წინადადება. ზოგჯერ კიდევ ბრძანების კილოთი დაწერილი „თხოვნა“: „აუცილებლად მოთავსდეს უახლოეს ნომერშიო“.

ჩვენ აგრეთვე იმასაც შევეჩვიეთ, რომ ყველა ეს ბრძანება თუ რეზოლუცია იწერება ერთი და იგივე ენით, რომელსაც „ჩიქორთული“ ჰქვიან. ისინი ისე გვანან ერთმანეთს, რომ ხშირად გამოთქმულა აზრი, რომ მათ ერთი და იგივე პიროვნება სწერს, სწერს უღრესად გულქვა ადამიანი, რომელსაც არ ებრალება არც რედაქტორი, არც მდივანი, არც სტილისტი და არც მკითხველი.

ჩვენ ვუწევთ ანგარიშს იმას, რომ ზოგს „წერა არ ეხერხება“ სამაგიეროთ ლაპარაკში „ფრიადოსანია“ და ამიტომაც კრიტიკას არ ვძრავთ. წავლენით თავს და ვუკირკიტებთ. თუ ერთპიროვნულად ვერ გავარღვიეთ „ფრონტი“, ვმართავთ „შაბათობას“ და აი დიდი ჯაფანწყვეტისა და ოფლის ღვრის შემდეგ ვბეჭდავთ გაზეთში.

ამ შემთხვევაშიც კრიტიკას არ დავძრავდით, რომელიმე, ასე ვთქვათ, სამრეწველო, ან სამეურნეო ორგანიზაციის მასალასთან რომ გვქონდეს საქმე, მაგრამ ეს არის ბრძანება განათლების სახალხო კომისარიატის, სადაც თავმოყრილია მთელი ჩვენი კულტურული ძალები და ნიჭები, სადაც ნაკადულივით სჩქეფს ახალი სოციალისტური კულტურა და საიდანაც ჩვენ, მომაკვდავებს, გვმართებს ვისწავლოთ „წერა-კითხვა“.

ამიტომ უკანასკნელად ველარ შევიკავეთ თავი და გამოგვაქვს ეს ბრძანება საჯაროთ, თუმცა მაინც საჯაროთ უნდა გამოსულიყო თანახმად საქმეთამმართველის მოთხოვნისა.

საქმე სულ მარტივია. ტფილისის განათლების განყოფილებამ ამას წინათ მოუხსნია მე-33 სკოლის მასწავლებელი ვ. კუბლაშვილი. განათლების კომისარიატს ჩაუტარებია ამ საქმეზე ძიება. რის შედეგად დაიწერა ბრძანება № 925 ა.-წ. 25 ოქტომბრის თარიღით. აი ეს ბრძანება გვაქვს ჩვენ ხელთ და უნდა გავუშვათ ხვალის ნომერში. ვთქვათ დავბეჭდოთ უცვლელად, დავდებთ ნაძლევს თუ გაიგებთ, რაშია საქმე. დავიწყოთ პირველი მუხლიდან: მოგვყავს სიტყვა-სიტყვით.

„1. მასწავლებელი ვ. კუბლაშვილის მოხსნა, რომელიც გამოწვეული იყო ტფილისის განათლების განყოფილების ინსტრუქტორის გ. სალაძის და სტალინის სახ. რაიგანათლების განყოფილების ინსტრუქტორის გ. ჯაკაიას გამოკვლევისა და მათივე დასკვნის საფუძველზე, ჩაითვალოს დაუსაბუთებლად“.

ამას მოსდევს მეორე მუხლი, იმის განსამარტავად თუ რატომ არის დაუსაბუთებელი, აი მეორე მუხლი

„2. მასწ. კუბლაშვილის სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ გამოირკვა რომ მის მიერ ადგილი ჰქონია(!) მოწაფის გაბუნიას ფიზიკურად შეხება, რაც მართალია გამოწვეული იყო ამ მოწაფის ზედმეტი ანცობით, მასწავლებლის შეშინებითა და ნერვიულობით, მაგრამ მისი დაბრუნება მე-33 სკოლაში შეუძლებლად ჩაითვალოს“.

აბა მიიხვედრით რა გაიგეთ? ფიზიკური შეხება ალერსს ხომ არ გულისხმობს, მასწავლებელია შეშინებული თუ მოწაფე? ვინ არის ნერვიული მოწაფე თუ მასწავლებელი? ვის დაბრუნება უნდა ჩაითვალოს შეუძლებლად, მოწაფისა თუ მასწავლებლის? თუ მასწავლებლის დაბრუნება უნდა ჩაითვალოს შეუძლებლად, მაშინ მისი მოხსნა რატომღაა დაუსაბუთებელი?

ახლა წავიკითხოთ ბრძანების მესამე მუხლი:

„3. დაევალოს რკინის გზის სკოლების განყოფილებას უზრუნველყოს მასწავლებელი კუბლაშვილი გაკვეთილების საკმაო რაოდენობით მე-9 რკ. გზის (რომელია ეს მე-9 რკინისგზისა ვ. შ.) სკოლაში, სადაც ის ამ ჟამად (წინადაც) მუშაობს“.

თუ ამ ჟამადაც მუშაობს და წინადაც მუშაობდა, მაშასადამე, არც მოხსნილი ყოფილა და თუ მოხსნილი არ ყოფილა, რაღა საჭიროა ეს წინადადება?

შეგვიბრალეთ, საქმეთა მმართველებო! ჩვენც ადამიანები ვართ!

გერმან შუბიძე.

ტექნიკუმების მოწაფეთა ესტაფეტი

ფოტო აკოფოვის

სურათზე: მარცხნივ—ესტაფეტის დაწყებამდე ექიმი ამოწმებს სტარტის მონაწილე ქალთა ჯანმრთელობას. მარჯვნივ — აირწინაღიანი მომზადება სტარტისათვის.

ფოტო აკოფოვის

ესტაფეტის მონაწილე ამხ. შ. ბარაძე პირველ ფინიშთან მიდის პირველი

30 ოქტომბერს, განათლების სახალხო კომისარიატის ინიციატივით ტფილისში მოეწყო ტექნიკუმების მოწაფეთა ორგელივი ესტაფეტი. ესტაფეტის მოწყობის მიზანი იყო მოწაფეთა შორის შრომისა და თავდაცვისათვის მზადყოფნაზე ნორმების ჩაბარების შემოწმება, ფიზკულტურული მუშაობის გაშლისათვის ხელისშეწყობა და იმ ტექნიკუმების გამოვლინება, სადაც უკეთ არის დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა.

ესტაფეტში მონაწილეობდა 67 გუნდი. მარშრუტი ასეთი იყო: ფედერაციის მოედანი, რუსთაველის პროსპექტი, ლენინის ქუჩა, ჩელუსკინელების ხიდი, პლეხანოვის პროსპექტი, ქორესის ქუჩა და ილბაქიძის ხიდი, ახალი სანაპირო ქუჩა, ჯორჯიაშვილის ქუჩა, კვლავ რუსთაველის პროსპექტი და ფინიში — ფედერაციის მოედანზე. მარშრუტის სიგრძე უდრიდა 6-ნახევარ კილომეტრს. სამარშრუტო მიმართულება დაყოფილი იყო უბნებად. პირველი უბანი იყო მანძილი ფედერაციის მოედნიდან ჰიგიენის სახლამდე, მეორე ჰიგიენის სახლიდან საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის შენობამდე, მესამე ვერის აღმართამდე და ა. შ.

ზოგ უბანზე ესტაფეტის მონაწილენი გარბოდნენ აირწინაღებით.

ესტაფეტის დასაწყისისთვის ფედერაციის მოედანზე დიდძალმა მშრომელებმა მოიყარეს თავი. ნაშუადღევის 1 საათზე შესდგა სტარტი.

გუნდებს შორის გაიმარჯვა ფიზკულტურის ტექნიკუმის გუნდმა, რომელმაც მანძილის გარბენის საუკეთესო დრო გვიჩვენა. აღნიშნული ტექნიკუმის გუნდმა, რომელშიაც შედიოდნენ ტექნიკუმის მოწაფეები — ქლენტი, მერკვილაძე, ერემინა, თეიმურაზოვი, მეცნაშვილი, ბურაკოვი, ცინცაბაძე, ივანოვი და რაზმაძე, — მთელი მანძილი (6,5 კილომეტრი) გაირბინა 25 წუთსა და 47 წამში.

მეორე ადგილზე გამოვიდა ოსური ტექნიკუმის მოწაფეთა გუნდი.

ნადირთსაჭერი პუნქტი სვანეთში

ტფილისის ზოობიოლოგიური სადგურის ინიციატივით (ზოობიოლოგიური სადგური მუშაობს ტფილისის ზოოპარკთან) სვანეთში ჩამოყალიბდა ნადირთსაჭერი პუნქტი, სადაც იმუშავებენ სვანეთის გამოცდილი მონადირეები.

პუნქტს დავალებული აქვს მიაწოდოს ზოობიოლოგიურ სადგურს და ტფილისის ზოოპარკს კავკასიონის ფაუნის ის წარმომადგენლები, რომლებიც ტფილისის ზოოპარკს ან სულ არ მოეპოვება და ან მოეპოვება თითო ეგზემპლიარი.

ტფილისის ზოოპარკის დირექტორმა სვანეთის ნადირთსაჭერი პუნქტის მნიშვნელობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

— კავკასიური ნადირები თითქმის ყველგან კოტაა. ჩვენ მოგვდის წინადადებანი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ზოოპარკიდან და უცხოეთიდანაც, რომ გადაუცვალოთ მათ აქაური ნადირები ე. წ. ეგზოტიკურ ნადირებზე. ექვსიოდე გარეულ თხაში, მაგალითად, ჰამბურგის ზოოპარკმა სპილო შემოგვთავაზა, მაგრამ ჩვენ არ გვქონდა საშუალება ეს გაცვლა მოგვეხდინა, რადგან კავკასიური ცხოველები მცირე რაოდენობით გვყავს სტალის შემენ. ჩვენ კი აუცილებლად გვინდა.

პრაქტიკულად პუნქტი მუშაობას შეუდგება გაზაფხულზე, ამ დრომდე ჩვენ პუნქტი უნდა მოვამარაგოთ საჭირო ხელსაწყოებით.

ოქროს მდიდარი საბადოები

მეორე წელიწადია, რაც ზემოსვანეთში, მდ. ინგურის ხეობაში სწარმოებს მუშაობა ოქროს საბადოების გამოსაკვლევად. გამოკვლევის შედეგები საყურადღებო აღმოჩნდა. გეოლოგიურმა პარტიამ, რომელიც მდინარის კალაპოტს იკვლევდა, მდინარის ძველ კალაპოტსა და შედარებით უფრო ახალი პერიოდის ნაფენებში ოქრო აღმოაჩინა. მთელი ათეული კილომეტრის მანძილზე იმდენი ოქრო მოიპოვება ქვიშაში, რომ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი მოპოვებითი სამუშაოების დაუყოვნებლივ დაწყება. გეოლოგიური პარტიის ხელმძღვანელისაგან მიღებული ცნობით, ნარიყ ობნებზე აღმოაჩინეს წმინდა ოქროს რამდენიმე ბუნებრივი ზოდი, [illegible] 13 გრამზე უფრო მეტი წონისაც.

„ზოლოტორაზვედკის“ ა.-კ. კანტორამ სვანეთში ოქროს მოსაპოვებელი სამუშაოების გასაშლელად ურალის ოქროს საბადოებიდან გამოიწერა ოქროს კვალიფიციური მომპოვებლები, რომლებმაც ეს საქმე ადგილობრივ მკვიდრთ უნდა შეასწავლონ.

სამხარეთმცოდნეო მუზეუმი ონში

სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებით რაიონის მშრომელი მოსახლეობა დაინტერესებულია თავისი მხარის მხარეთმცოდნეური შესწავლით. ამ მიზნით ჩვენში არსდება სამხარეთმცოდნეო მუზეუმები, რომლებიც იკვლევენ განსაზღვრული რაიონის ბუნებასა და ყოფას, რომ ამით ხელი შეუწყონ საბჭოთა მშენებლობას და მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებას.

მიმდინარე წლის ზაფხულში ონის (რაჭა) რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვ. კერესელიძისა და განათლების განყ. გამგის ამხ. კ. პეტრიაშვილის ინიციატივით ონში გაიმართა თათბირი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების შესახებ. თათბირზე მუზეუმის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა მხატვარმა ამხ. გრ. მესხმა.

თათბირმა დაადგინა ონში გაიხსნას სამხარეთმცოდნეო მუზეუმი, რომლისათვისაც გამოყვეს ბინა და საჭირო თანხაც.

ამხ. მესხს დაევალა მუზეუმისათვის დაამზადოს ონის რაიონის რელიეფური რუკა, ეთნოგრაფიული და ყოფაცხოვრებით დამახასიათებელი სურათები. საზოგადოებრივი დატვირთვით დაევალა განათლების განყოფილების ინსტრუქტორს რაჭის ბუნების და ყოფის დამახასიათებელი ექსპონატების შეგროვება და სხვ.

საქარ. სამხარეთმცოდნეო ინსტიტუტმა დაამუშავა ონის მუზეუმის წესდება, მისი სამუშაო და საგამოფენო გეგმები.

გ.

„რევოლუციის ადამიანები“

საქართველოს რადიოკომიტეტი აწყობს გადაცემების ციკლს თემაზე: „რევოლუციის ადამიანები“. მიკროფონთან გამოვლენ მუშები, კოლმეურნეები და სხვ. რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ მოძრაობასა და არალეგალურ მუშაობაში საქართველოში.

პირველი გადაცემები ამ ციკლიდან მოეწყო რადიოთი 20, 24 და 25 ოქტომბერს. მოგონებებით ამხ. სტალინის რევოლუციური მუშაობის შესახებ საქართველოში გამოვიდნენ ძველი მუშები ამხ. ლომჯარია, ელისაბედაშვილი და ქალ. ვაშაძე.

ოქტომბრის ზეიმის დღეებში ეწყობა „რევოლუციის ჩანის“ ახალგაზრდათა ოქტომბრის რევოლუციის პირველ წელში დაბადებულთა გამოსვლა მიკროფონთან.

მათთან ერთად მიკროფონთან გამოვლენ ასწლიანი მოხუცები საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან, რომლებიც გაიხსენებენ ქმნენელთა თავიანთ მოგონებებს.

აბანო № 10

ერთი ლეგენდის შემოწმება

დიდი ხანია მეცნიერები დაობენ იმის შესახებ, თუ რა უნდა ერქვას ჩვენს დედაქალაქს—თბილისი თუ ტფილისი.

ზოგნი ფიქრობენ, რომ ქალაქის სახელი თბილ გოგირდოვან წყაროებისაგან წარმოსდგება. ზოგიც კიდევ ამტკიცებს, რომ სიტყვა „ტფილისი“ წარმოსდგება ქართველთა ტომის ტიბერიებისაგან, რომლებიც ქალაქის აღმოცენებისას დღევანდელი ტფილისის მიდამოებში სახლობდნენ.

პირველ მოსაზრების დასასაბუთებლად ერთი ძალიან გავრცელებული ლეგენდა მოჰყავთ. ამბობენ, რომ მეფე ფარნაოზი რომელსაც ტახტი მცხეთას ედგა ტფილისის მიდამოებში ნადირობდა. იმ დროის ეს ადგილები გაუვალი ტყით იყო დაფარული. მეფემ ამოფრენილ ხოხობს შევარდენი მიუტია. შევარდენმა ხოხობი კლანჭებში იგდო და ორთავენი ხევში დაეშვნენ. მეფემ ნანადირევის მოსატანად მსახურნი გაგზავნა. მათ ნახეს რომ შევარდენი და ხოხობიც გოგირდის ცხელ წყალში ჩაძირულიყვნენ და მოხარშულიყვნენ. მეფეს შევარდენი დაენანა, ცხელი წყაროები კი ისე მოეწონა, რომ აქ ქალაქის გაშენება გადასწყვიტა. შემდეგში სატახტო ქალაქად მცხეთის ნაცვლად ტფილისი გაიხადა.

ეს ლეგენდა, მოხარშული ხოხობის შესახებ, ყოველთვის ქოსატყუილას შეთხზული მეგონა. ამას წინათ კი № 10 გოგირდის აბანოებში ყოფნამ ჩემი ეჭვები სავსებით გაფანტა. ეს აბანო ისე „კეთილმოწყობილია“, რომ შიგ ცივი წყალი არ მოიპოვება. ონკანიდან სცემს, როგორც ეტყობა მას შინა ფარნაოზისა ერთადერთი მიწის გულიდან აღმოხეთქილი გოგირდოვანი ნაკადი. მაგრამ ვაი თქვენი ზურგის ტყავის ბრალი, თუ გაბრიყვდით და ამ ნაკადს ზურგი შეუშვირეთ. ზედ ვეებერთელა ბუშტები დაგიდგებათ და ერთ წუთში მწიფე ლეღვივით კანი გაგძვრებათ.

გინდათ ფეხით გასინჯოთ წყლის სითბო, მაგრამ წყალს მიეკარებით თუ არა, იმ წუთში დამდუღრული ამოხტებით აუზიდან. წყლის სითბო დაახლოებით ისეთია, როგორც ჩვენში ღორების გასაფუფქად ხმარობენ ხოლმე. წუთი არ გავა, რომ დამდუღრულმა მობანავეებმა აბანოს უდარდელ ადმინისტრაციას შეუთისოვის არ მიმართონ.

— მოგვკლით, მოგვხარშეთ, მოგვაშველეთ ცივი წყალი!

მაგრამ აუღელვებელი ადმინისტრაცია თინჯად უპასუხებს:

— როგორ არ მოდის კაცო ცივი წყალი, აბა კარგათ გასინჯეთ!

ტფილისის აბანოებში, თუ მათ ისეთი ხელმძღვანელები დარჩა, როგორც № 10 აბანოს გამგე ილიკო გორეჯიძეა, ხოხობი და შევარდენი კი არა, კამეჩიც კი მოიხარშება. ყველას შეუძლია აქ პრაქტიკულად დარწმუნდეს ტფილისის წარმოშობის შესახებ არსებულ ლეგენდის სისწორეში.

ზხიფი.

სპორტი

პირველობის გათამაშება ფეხბურთში

დაიწყო საშემოდგომო პირველობის გათამაშება ფეხბურთში. გათამაშებაში მონაწილეობას იღებენ შემდეგი უწყებები: „დინამო“, „სპარტაკი“, ტფილისის სასწავლებლები და პროფსაბჭო. თვითეული უწყებიდან გამოდის სამ-სამი გუნდი.

ჯერჯერობით ჩატარებულ შეხვედრებიდან ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტმა მოუგო ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირს (ტსოკ) 1:0-ზე, ა.-კ ინდუსტრიალურმა ინსტიტუტმა ა.-კ სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტს 6:1 და „დინამომ“ „სპარტაკს“—4:0.

ჭადრაკი

მატჩი ოქტომბრის ზეიმის დღეებში

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ოქტომბრის ზეიმის დღეებში, ბაქოში ამხანაგურ ტრადიციულ საჭადრაკო მატჩში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრება ტფილისის საუკეთესო მოჭადრაკეთა, მოჭადრაკე ქალთა და მოზარდთა გუნდი შემდეგი შემადგენლობით. მოჭადრაკეები: ამხ. ებრალიძე, სმოროდსკი, აბრამიანი, სოროკინა, ვეიზერი, ფირცხალავა, კანკავა. მოჭადრაკე ქალები მარქაროვა, ზარგარიანი და კრისტერგი. მოზარდებიდან გუნდში შევიდნენ დრონოვი, ავაქიანი და ადამიანი.

5 ნოემბერს გუნდი მიემგზავრება ბაქოში.

ქრონიკა

— **ექიმთა საზ-ბის სხდომა.** დღეს, საღ. 8 ს. ტუბინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. 16), შესდგება ექიმთა საზ-ბის მორიგი სხდომა. დღის წესრიგი: ექ. მუსხელიშვილი—ბადებრივი გარსის ცენტრალური არტერიის წნევა. მისი გამოკვლევა და დიაგნოსტიური მნიშვნელობა ოფტალოგიაში და ზოგად მედიცინაში, დოც. ნანეიშვილი—ტუბერკულოზურ ბავშვებზე ზამთრის ჰავის გავლენის შესახებ; ექ. თოხაძე—ყბა-ყურის მენინგიტი; პროფ. მ. უგრელიძე—მუცლის ტიფის შესახებ ბავშვის ჰასაკში.

შემთხვევები

# **ნაქურდალი ნივთების აღმოჩენა.** 28 ოქტომბერს ფანჯრის მინის გატეხვის საშუალებით გაქურდეს ს. მანინას ბინა (რეინეშვილის ქ. 8). მოიპარეს დიდძალი საოჯახო ნივთები. 30 ოქტომბერს შეიპყრეს ქურდები გ. ნ. მადაგიანი (რიგინაშვილის ქ. 8) და ა. ა. სოსიანი (იზიზბეკოვის ქ. 28). ქურდებს აღმოაჩნდათ და ჩამოერთვათ ყველა მოპარული ნივთი, რომლებიც დაზარალებულს დაუბრუნეს.

# **გაუფრთხილებელი ხელა.** რუსთაველის პროსპექტზე № 11—03 ავტომანქანა დაეჯახა უცნობ მოქალაქეს და მძიმედ დაამტვრია. საავადმყოფოში მიყვანისას დაშავებული გარდაიცვალა. შოფერი ვ. ბაგაური შეიპყრეს.

# **ავარია.** მელიქიშვილის ქუჩაზე მე-3 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი (ვატმანი ა. ხოფერია) დაეჯახა № 63—19 ავტომანქანას (შოფერი მ. შ. შევარდნიძე). ავტომობილი და ვაგონი დაზიანდა. არავინ დაშავებულა. დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს.

# **მოჩხუბარი.** სიმთვრალის დროს ჩხუბისა და მოქ. ა. პ. სიმონიანის (კაშენის ქ. 2) ცემისათვის სარეწაო კოოპერაციის ქ-ზე შეიპყრეს ს. ი. შამაილოვი.

# **ქურდის დაპატიმრება.** შეიპყრეს ცნობილი ქურდი—რეციდივისტი გ. დ. ბელი, რომელსაც ქურდობის 22 რეგისტრაცია აქვს.

პარტკალენდარი

— **საქ. კ.პ. (ბ) ტფ. ორგანიზაციის სტალინის რაიკომის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილება** იუწყება, რომ 3 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, მე-3 სკოლის შენობაში (კამოს ქ. № 52), შესდგება ამხ. **ლოლუდვიგოვის** საინსტრუქციო მოხსენება თემაზე: **„ლენინი და ოქტომბერი“**—მომხსენებელთათვის, აგიტატორებისა, პარტკომების მდივნებისა და პარტორგებისათვის. ზემოაღნიშნული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

სახელმწიფო ოპერის თეატრი

დღეს 11 აბონემენტი 2 წარმოდგენა	2 ნოემბ. მე-10 აბონემენტ. მე-2 წარმოდგენა	3 ნოემბ. მე-13 აბონემენტ. მე-2 წარმოდგენა
[illegible]	პიკის ქალი	რიგოლეტო

[illegible] ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11-დან 2 საათამდე, საღამოს 6-დან 9 საათამდე.

რუსთაველის თეატრი 1935—36 წლის სეზონი

დღეს მე-3 აბონ. 1 წარ.	2 ნოემბერს მე-8 აბონ. 1 წარ.	3 ნოემბერს მე-6 აბონ. 1 წარ. მ.
მარჯანიშვილის ანზორი	მარჯანიშვილის ანზორი	ჯავახიშვილის ნაგიჟვარი

ბილეთები სალაროში დღის 11—2 6—9 საათ. დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

1 ნოემბერს წარმოდგენა № 8	ჩატეხილი ხიდი
2 ნოემბერს წარმოდგენა № 9	ჩატეხილი ხიდი
3 ნოემბერს წარმოდგენა № 10	ნინოშვილის გურია

დასაწყისი საღ. 8 საათზე

ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11—2 ს. საღ. 6—9 ს.

40 ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან.

ტრამვაის წლიური ბილეთების შესახებ

ტფ. ქალაქის რკინისგზ გზის ტრესტის დირექცია

აცხადებს

რომ 1936 წლისათვის ფასიანი ბილეთების რაოდენობა მტკიცედაა განსაზღვრული

ამისათვის წარმოება დაწყეს ბულებმა დროულად უნდა წარმოადგინონ დაკვეთა მათთვის საჭირო წლიური ბილეთების რაოდენობაზე ავანსის შეტანით ტრამვაის სალაროში, ან კომუნალურ ბანკში № 16 მიმდინარე ანგარიშზე.

დაკვეთებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს ფოტო-სურათები იმ პირებისა, რომელთაც უნდა ეძლეთ ბილეთები.

წლიური ბილეთების ღირებულება:

ა) სახელობითი—363 მან.
ბ) უსახელოთ—603 მან.

ბილეთების განაწილების დროს უპირატესობა მიეცემა მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომელიც ადრე შემოიტანს დაკვეთას ღირებულების გადახდით

1935 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ბილეთები აღარავის არ მიეცემა

ქალ. ტფილისის რკ. გზების ტრესტის დირექტორი რაზმაძე.

793 1—5

ამიერკავკასია 6-30 8-30. 10-30	უკანასკნელი ... სურათი უკანასკნელი მასკარადი
საქართველო სახ. აბაფ. 6-30 8. 9-30	ახალი ხმოვანი ფილმი ოქროს ტბა; ... კომედია რესპუბლიკის მემკვიდრე პრინცი
[illegible] 8-30. 10-30	დადგმის ... ხმოვანი ფილმი ...
ლუნაჩარსკის სახ. 6-30, 8, 9-30. 11	ახალი ხმოვანი ფილმი ხაზარაი
[illegible] 7-30. 9. 10-30	... ალიმი
[illegible] 8-30, 10	... მეფის ...
კომინტერნის სახელობ. 7-30. 9-30	ხმოვანი ფილმი „მეწისქვილე და მეფე“

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. გამომცემლობის ხელმოწერის ბიურო

ხელმომწერთა საყურადღებოდ

განმეორებით აცხადებს რომ გამოსულია ხელმომწერთათვის

შემდეგი წიგნები

1. კ. მარქსის რჩეული თხზ. 1-ლი ტომი.
2. ლენინის ... (...).
3. ლენინის რჩეული თხზ. მე-15 ტომი.
4. ლენინის თხზულებათა მე-6 ტომი.

ყველა აღნიშნულ ტომებს არ გამოიტანს ხელის მოწერა ... ბიურო

404 1—1

განათლების სახალხო კომისარიატის თეატრებისა და სანახაობათა სამმართველო

აცხადებს

რომ სწარმოებს მომღერალთა მიღება ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით დაარსებულ აღმოსავლეთ საქართველოს სახ. ეთნოგრაფიულ გუნდში.

მსურველთა აღწერა სწარმოებს ყოველდღე 12 საათიდან 3 საათამდე განათლების სახ. კომისარიატში, ოთახი № 34

... საკონტაქტო ქსელის მშენებლობისათვის

საჭირო არიან ინჟინრები და ტექნიკოსები

სახურავ... ქუთაისის და ... მცხოვრებ...

... რკინის გზ. სამმართველო ელექტროფიკაციის განყოფილება

11050

ექიმები: ვანო, ისტერ ლორთქიფანიძე შვილებით იუწყებიან დედის მატა კირილეს ას. ლორთქიფანიძის გარდაცვალებას. გამოსვენება კამოს ქ. № 103 მეორე სასაფლაოზე, დღეს 5 ს. 11076

ღრმად დამწუხრებული ოლიმპიადა ერისთავის ასული წერეთლისა იუწყება ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი მეუღლის ნიკო ბეჟანისძე წერეთლის გარდაცვალებას ქ. სიღნაღში. 11096

დამწუხრებული მშობლები: ანტონი, ოლიმპიადა, ცოლი ბაბილო, ძმა სამუელ, და აკვილინა, რძალი ლიდა, ძმისწულები: ჯემალი, თინა, ბიძაშვილი სევერიანი სვანიძეები მწუხარებით იუწყებიან საყვარელი ტერენტი სვანიძის უდროოდ გარდაცვალებას. 11098

ძმა ვასო, მეუღლე გოგოლიძე, შვილები კოკური, დები: რახილ, თამარი, ბიძები შენგელიები, ირინა ღლონტები ცოლშვილით იუწყებიან, რომ 3 ნოემბერს ს. დვაბზუში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ვიქტორ ღლონტის ხსოვნის აღსანიშნავად. 11099

სიძეები: იპოლიტე ძამთიანი, ვანიკა კეშელავა და ტერენტი ნანავა ცოლშვილით იუწყებიან, რომ 3 ნოემბერს ცხაკაიაში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი მიშა ხოფერიას ხსოვნის აღსანიშნავად. უფ.

სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტის სამკურნალო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე ინსტიტუტის დირექტორის ექ. ვანო ლორთქიფანიძის დედის მატა კირილეს ასული ლორთქიფანიძის გარდაცვალებას. 11091

ტფილისის რაიპროფკავშირის თანამშრომლები: გოგორიშვილი, ყურაშვილი, ჩაჩანიძე, ყვავილაშვილი, ბეგიაშვილი, ლიპარტელიანი, შონია, ქარუმიძე, კუხიანიძე, მამფორია, გოლაური, ასათიანი, საჯაია, ზერიაშვილი მწუხარებით იუწყებიან ბუხჰალტერ ვალიკო კუბულაშვილის უდროოდ გარდაცვალებას. 11090

პუმპურიძე, ნამგალაური, მჭედლიძე, ასლანიშვილი, ზაქაიძე, იურგინსონ, დიასამიძე, ბურჯანაძე, თათარაშვილი, დზუცოვი, ელიაშვილი, ხუბეროვა, ფიცხელაური, ახალშენიშვილი, ხონიევა რონიაშვილი იუწყებიან თანამშრომელ ფ. ძრიელიშვილის შვილის ილუშას უდროოდ გარდაცვალებას. 11095

აგრონომები: ლაბაძე, ჯინჭარაძე, უფლისაშვილი, სოხაძე, გაჩეჩილაძე, ბერიძე, გაფრინდაშვილი, სამყურაშვილი, წერეთელი, მაჭარაშვილი, იობაშვილი, გურაბანიძე, ქავთარაძე მწუხარებით იუწყებიან აგრონომ ნიკო ბეჟანის-ძე წერეთლის უდროოდ გარდაცვალებას. 11101

შალვა, თამარ, მეუღლეებით—მარიამ, მიხეილით იუწყებიან დედის ხოფიო მიხეილის ასულ ზალდასტანიშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 2 ნოემბერს 5 ს. არაგვისპირელის, 18. ეკლესიის სასაფლაოზე. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 საათზე. 11100

ამხანაგები: იმერლიშვილი, ბაზლიძე, კახიანი, კახიანი, ანუშვილი, შენგელია, ხრისტოფსკაია, ჯიბლაძე, ბერიშვილი, ხუბულაშვილი, მეტრეველი, კუჭუხიძე, ჯოხაძე, დავსტირით საუკეთესო ამხანაგის, ინდუსტრიალური ტექნიკუმის მოწაფის ილუშა ძლიერიშვილის უდროოდ გარდაცვალებას. 11097

დედა ალისა, ძმები: მიშა, სერგო, დები: შუშანა, ნადია, ანიკა, სიძე ვლადიმერ გაბუნია შვილებით იუწყებიან, რომ 2 ნოემბერს ქ. სამტრედიაში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ექიმი ალექსანდრე უუფარაძის ხსოვნის აღსანიშნავად. 11073

სტამბა „კომუნისტი“ ქამო. ; № 68

მთავლიტის რწმუნებული 8159